№ 2885
პარასკევი,
12 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2885
პარასკევი,
12 აგვისტო

[illegible]: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ამ ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲑᲐᲜᲓᲔᲠᲝᲚᲘ ᲐᲜ ᲛᲝᲘᲬᲔᲠᲝᲜ ᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲠᲔᲡᲖᲔᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ.

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ გაზეთისა ყოველგან ღირს 3 ᲙᲐᲞ. ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ—5 ᲙᲐᲞ.

ესტატე და კირილე კონსტანტინეს ძენი შატბერაშვილები, ეფემია კონსტანტინეს ასული ფურცელაძისა, მართა გიორგის ასული ქუთათელაძისა და დარია გიორგის ასული ნებალაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მობძანდნენ ორმოცი დღის წირვასა და პანაშვიდზე, რომელიც გადახდილ იქმნება ქ. გორის სობოროში 13 აგვისტოს აწ გარდაცვალებულის

ევროსინე კონსტანტინეს ასულის შატბერაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—312—2)

ᲡᲐᲕᲐᲟᲝ ᲞᲠᲝᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲨᲘ

ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან ავლაბარში გაიხსნება სავაჟო პროგიმნაზია; ამ ჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც ჰსურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავშვი ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნა მიიღება ამ თვის 11 რიცხვიდან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 11—1 საათამდე ავლაბარში, ბეგლიაროვის ქუჩაზე, ალამდაროვის სახლში, საქალაქო სკოლაში. სწავლის დაწყების დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული. (3—6.—2)

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

„ᲫᲛ. ᲐᲙᲝᲤᲯᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲥᲘᲡᲘᲐᲜᲘᲡ“

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ისზე ნაკლებ ფასებში დაინიშნოს, რასაც იაფ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს საყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲕᲐᲭᲠᲔᲑᲚᲐᲓ.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—80)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ „ᲨᲠᲝᲛᲐ“-ს საბჭო ამით აცხადებს, რომ სწავლა საზოგადოების სამეურნეო სკოლაში განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამა სამოსწავლო წელს გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ასოცდაათი მანეთი (130 მ.) და ოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანეთი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა დაიწეროს სკოლის გამგის სახელზე. ფოსტის ადრესი: Секретарю Совѣта Общества „Шрома“ I. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ городъ Кутаисъ. Контора нотаріуса Анкапаридзе. (7—1)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲥᲕᲡ ᲚᲐᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ სასწავლებელში (ქრეულ) შესვლის მსურველთა გამოცდა დანიშნულია ამა 195/6 წლის 23, 24 და 25 აგვისტოსთვის, დილის 8 საათიდან.

სასწავლებელში შესვლის მსურველთ თხოვნა და მასთან ერთად ნათლობის მოწმობა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის ინსპექტორის სახელობით დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა.

საპედაგოგიო კურსებზე შესვლის მსურველთ უნდა წარმოადგინონ ნათლობის მოწმობის გარდა ატესტატი სამოქალაქო, 31 მაისს 1872 წლ. დებულ; სასწავლებელში სწავლის დამთავრებისა. (3—5.—1)

ექიმი

ვ. ს. მზელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დო მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 15.

ექიმი

ვ. ა. გდალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის მაკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყო. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი 5-დან—6 საათამდე. (30—6.—16)

კბილის ექიმი

ივანე ჯ. ალშენიშვილი

ნიკოლოზის ქუჩისა (№2) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დუქნისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს ხს 9—2 და საღამოს 5—10. კვირა-უქმეებ 10—1 ს.

ახლად გამოცემული

ᲡᲐᲛᲖᲠᲔᲣᲚᲝ.

ᲤᲐᲡᲘ 1 Მ. 50 ᲙᲐᲞ.

იყიდება წიგნების გამცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს, ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—17)

ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲝᲛᲘ

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
10 აგვისტო

ᲜᲘᲣ-ᲙᲐᲡᲢᲚᲘ, 10 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ კონფერენციის სხდომები კიდევ გასტანს რამდენსამე დღეს, რათა განიხილონ პეტერბურგსა და პორტ-სმუტს შორის მომხდარი მიწერ-მოწერა.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 9 აგვისტო. 7 აგვისტოს კუმიაოძისთან გაჩნდა რუსების 4 ათასი ქვეითი და კავალერისტი 4 ზარბაზნით, მაგრამ გაძევებულ იქნენ. მოგერებულ იქნა აგრეთვე იერიში 500 რუსისა მარჯვენა ფრთაზე.—ჩრდილოეთ კორეიაში იაპონიის ერთ არმიასთან მყოფი კორესპონდენტი იუწყება, ვლადივოსტოკიდან რუსის კონტრ-ნაღმოსნების გამოსვლამ ალიაქოთი ასტეხა აქ იმიტომ, რომ იქვე ახლო-მახლო იაპონიის ორი ესკადრა იდგა. კონტრ-ნაღმოსნები ციმბირის გზით მიიტანეს ვლადივოსტოკში ნაწილ-ნაწილად დაყოფილი.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲛᲣᲢᲘ. ვიტტესა და როზენს რუსის 600-მა ებრაელმა ლაურენსიდან (მასსაჩუსეტი) ადრესი მიართვეს და უსურვეს, რომ ზავმა დააგვირგვინოს რწმუნებულთა ღონისძიებანი.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 აგვისტო. ირწმუნებიან, რომ, როცა, დღეს, რწმუნებულნი შეიკრიბებიან, კომურა რუზველტის წინადადებას წარუდგენს, რომლითაც რუსეთს ურჩევს იგი გამოისყიდოს სახალინი მთლად ან ნაწილი და თუ რწმუნებულნი ვერ შეთანხმდებიან კუნძულის ფასზე, საკითხს სამედიატორო სასამართლოს გადასცემენ გასარჩევად. ამგვარად სახალინის ფასი, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ფასი და ის ფული, რომელსაც რუსეთი გადაუხდის იაპონიას ტყვეებისა და ავადმყოფების შენახვისათვის, საკმაო საზღაურს შეადგენს სამხედრო ხარჯისას. რამდენადაც ახლოვდება საბოლოო მომენტი, იმდენად იზრდება ამერიკაში რწმენა, რომ იაპონია ბევრს დაუთმობს რუსებს, რადგანაც ირწმუნებიან, რომ მას მეტად ჰსურს ზავი ეხლა, ვინემ წინად.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲛᲣᲢᲘ, 10 აგვისტო. დღევანდელი სხდომა დღის პირველის ნახევარ საათზე გათავდა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 13 აგვისტოს შაბათისათვის.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 10 აგვისტო. დღეს, დილით, „მატენ“-ის კორესპონდენტი იყო იაპონელების ერთს რწმუნებულთაგანთან, რომელმაც განაცხადა, რომ მან კარგად იცის, რომ საფრანგეთში ძლიერ ჰსურთ ზავი, თითქმის უფრო, ვინემ იაპონიასა და რუსეთში და ამასთან დასძინა, იაპონიას აზრადაც არ მოსვლია ტონკინის დაპყრობა, რისაც ეგრე ეშინიანთ ფრანგულ გაზეთებსო. იაპონია არ ცდილობს გააფართოვოს საზღვრები სამხრეთისკენ და ფიქრობს, გაამაგროს იაპონია მისს ახლანდელ საზღვრებში. ადვილი შესაძლებელია, რომ, ომის გათავების შემდეგ იაპონია, საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმდებიან შორეულ აღმოსავლეთში თავიანთ სამფლობელოთა უზრუნველ საყოფლადო.—„მზადა ვართ დავუთმოთ, როგორც ხელმე განვაცხადებთ, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მორიგებას მოინდომებს. იაპონია არ დასთანხმდება არც სამედიატორო სამართალს და არც მესამე სახელმწიფოს საქმეში ჩარევას“.

ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ, 10 აგვისტო. გუბერნატორმა საქალაქო დებულების მე-38-ე მუხლის ძალით, შეაჩერა ქალაქის საბჭოს განჩ. ივლისის 18-ის დადგენილების სისრულეში მოყვანა: ეს დადგენილება შეეხებოდა ქალაქის თავისა და ქალაქის წარმომადგენლების მოხსენებას, ქალაქებისა და ერობის მოღვაწეების მოსკოვის სიეზდის შესახებ.

ᲐᲟᲘᲜᲙᲔᲢᲘ, 9 აგვისტო. მეორე დღეა, რაც ჯევანშირის მაზრაში შირისშირი სროლაა აქვთ თათრებსა და სომხებს. მოკლულია 9. წავიდა გუბერნიის მმართველი და კაზაკთა ორი სოტნა. 10 აგვისტოს მოვიდა ცნობები, რომ შუშის მაზრაში ძლიერ გამწვავებულია საქმეები, ენერგიული ზომები მიიღეს არეულობის თავიდან ასაცდენად.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 10 აგვისტო. ქალაქისთავმა შეიტანა საბჭოში საკითხი, დაარსდეს ქალაქის სახელზე ომში დაღუპულთა შვილების თავშესაფარი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
10 აგვისტო.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲛᲣᲢᲘ, 9 აგვისტო. შუადამეზე ვიტტემ გრძელი დეპეშა მიიღო. სეკრეტრები შიფრს კითხულობენ. იაპონელები და რუსები პირისპირ უდგიან ერთი-მეორეს არა როგორც შეურიგებელი მტრები. გაგებულ იაპონელის სიტყვით, უსათუოდ მოხდება შეთანხმება კონტრიბუციისა და სახალინის დათმობის შესახებ. უეჭველია, რომ იაპონელებმა ისეთი შეთანხმება შეიმუშავეს, რომელიც რუსეთის ღირსებას არ ბღალავს. იაპონელებს სურთ ზავი და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მიაღებინონ რუსეთს იგი. რუზველტის წინადადებაში ნათქვამია, რომ რუსეთმა იმდენი ფული მისცეს სახალინში, რაც იაპონიის მოთხოვნებს დააკმაყოფილებსო.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲛᲣᲢᲘ, 10 აგვისტო. ირწმუნებიან, ბარონი კომურა დაეთანხმა რუზველტის წინადადებას კომპრომისებზე წასვლის შესახებ. კარგად გაგებული წრეები ამბობენ, დღეს არ მოხდება საბოლოო განხეთქილებაო. იციან, რომ რუზველტის წინადადება იაპონიის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს და რუსეთსაც აძლევს საშუალებას განუცხადოს ქვეყნიერებას, რომ მას არც ერთი ციდა მიწა მიუცია და არც ერთი კაპეიკი კონტრიბუცია.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲛᲣᲢᲘ, 10 აგვისტო. დღეს დილით სათათბიროდ შეიკრიბნენ რწმუნებულნი, მაგრამ თათბირი გადასდეს. დღის 12 ს და 15 წ. ვიტტე და როზენი არსენალიდან წავიდნენ. არა-ოფიციალურად იუწყებიან, სხდომები 13 აგვისტოსთვის გადაიდოო.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. საგოსპიტლო გემ „მიუნხენ“-ით წავიდა უკანასკნელი 500 დაჭრილი პორტ-არტურელი.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘ. მოვიდა ტრანსპორტი „იუპიტერი“, რომელიც საიგონს გაიქრა ცუსიმას ბრძოლის დროს.

ᲢᲐᲛᲑᲝᲕᲘ, 10 აგვისტო. გაიმალა ორლოვის ბანკის კასირი და თან წაიღო 8 ათასი მან.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, 10 აგვისტო. დღეს. საბჭოს სხდომის დაწყების წინ, შარაკლისა გადაიხადეს 6 აგვისტოს მანიფესტის გამო. შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, უქვეშევრდომილესად იშუამდგომლოს, რათა მიღებულ იქნას შემდეგი ზომები არჩევნების უზრუნველ-საყოფელად: სიტყვისა, კრებისა და პრესსის თავისუფლება.—ტელეგრაფია „რუს“-ის ცნობა, ვითომც განზრახული იყოს მეფოზე მომგებიან ჰესსის გამოცემა სავლეხო ნადელების გასადიდებელ ფონდის დასაარსებლად.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ამერიკულ გაზეთების აზრი იაპონიის პირობაზე. ამერიკული გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ საზავო მოლაპარაკებას და ბევრ წერილებსა ჰბეჭდავენ ზავზე. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ი ბეჯითად ურჩევს იაპონიას, ზომიერება გამოიჩინეო. სამაგიეროდ „უორლდ“-ი ამბობს: იაპონიამ, როგორც გამარჯვებულმა, თავის გამარჯვებით უნდა ისარგებლოს. ამბობენ, იაპონიამ ზომიერება უნდა გამოიჩინოს და თავის პირობით რუსეთის სიამაყე არ შებღალოსო; ეს შეცდარი აზრია. პირიქით, იაპონიამ ყურადღებაც არ უნდა მიაქციოს რუსეთის სიამაყეს. რისთვის უნდა გამოიჩინოს იაპონიამ ზომიერება? ნუ თუ რუსეთი ისევ ძლიერი უნდა დასტოვოს შორეულ აღმოსავლეთში, რომ ხუთის ან ათის წლის შემდეგ რუსეთმა ხელახლად ომი დაიწყოს? განა იაპონია იმისათვის იბრძოდა და იტანჯებოდა, რომ ბოლოს არაფერი არ მიიღოს? ისეთი ზავი, რომელიც რუსეთის სიამაყეს არ შებღალავს, მოასწავებს ჩინელების ექსპლოატაციის გაგრძელებას შორეულ აღმოსავლეთში და დესპოტიზმისა და თვითმპყრობელობის გაძლიერებას დასავლეთშიო“. („რ.“).

იაპონიის ფლოტის მოქმედება. ზავზე მოლაპარაკება სულაც არ აყენებს იაპონიის ფლოტის ბეჯით მოქმედებას. იაპონიის ორი ესკადრა ციმბირის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეს გაჩნდა: ერთი ოხოტსკთან, მეორე კამჩატკის ნაპირებთან, ალბად, პეტროპავლოვსკთან. ეს ორი ესკადრა, უეჭველია, კამჩატკისა და კომანდორის კუნძულების დაჭერას აპირობს. საეჭვოა, რომ იაპონელებმა ოხოტსკში გადაიყვანონ ჯარი. სულ სხვა საქმეა კამჩატკა და კომანდორის კუნძულები. ეს ადგილები კურილების კუნძულების (იაპონიის სამფლობელოა) მეზობლად მდებარეობენ და მეტად გემრიელ ლუკმას წარმოადგენენ: იაპონელებს დიდი სავაჭრო ინტერესები აქვთ იქა. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ უფლოტოდ რუსეთი ვეღარც დაიბრუნებს ამ ადგილებს. „ნ. ვინ. ტაგ.“-ი შენიშნავს, თუ სახალინის დაპყრობა არ გაუჭირდათ იაპონელებს, კამჩატკის დაჭერა უბრალო სეირნობა იქნებაო. შეიძლება, ამ ორიოდე დღეში ამბავი მოვიდეს, რომ იაპონელებმა კამჩატკა და კომანდორის კუნძულები დაიჭირესო; ვინ იცის, იქნება დაიჭირეს კიდევაც. ამ ამბავს, უეჭველია, გავლენა ექნება საზავო მოლაპარაკებაზეც. („ო. ნ.“).

დაგვიანებული განკარგულება. მხოლოდ ეხლა, ომის დაწყებიდან წელიწად ნახევრის შემდეგ, როცა ზავზე მოლაპარაკება გაიმართა და ლამის ომიც გათავდეს, რუსეთის სამხედრო უწყება ჰკუაზე მოსულა და საომრად გასაგზავნ სალდათებს წიგნაკებს ურიგებს. ეს წიგნაკები მოსკოვის სამხედრო ოლქს გამოუცია; შიგ ეხლანდელ ომის მნიშვნელობაა ახსნილი, ომის ამბები აწერილი, დარიგებაა, როგორ უნდა გაუფრთხილდეს სალდათი თავის თავს ლაშქრობის დროს და ჩამოთვლილია საომარი კანონები და ჩვეულება. მოთავსებულია აგრეთვე რუსულ-ჩინური სიტყვები და რუსული და ჩინური ზომა და საწყაო. წიგნაკს მანჯურიის კარტაცა აქვს დამატებული.

იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ამისთანა წიგნაკები და კარტები ომის დაწყების უწინ დაურიგა სალდათებს. („ო. ნ.“).

იაპონიის სამხედრო ტაქტიკა გერმანიის არმიაში. „ლოფანის სააგენტო“ იუწყება: გერმანიის იმპერატორმა უბრძანა მე-25 ქვეითა ბრიგადას, დიდ მანევრებში მონაწილეობა მიიღოს. ეს ბრიგადა სპეციალურად სწავლობდა იაპონურ საიერიშო ტაქტიკას. გერმანიის არმიას „იაპონურ“ ვარჯიშობას თითონ იმპერატორი ვილჰელმიც დაესწრება. გერმანელი ოფიცრები ამ 20 წლის წინად სამხედრო ხელოვნებას ასწავლიდნენ იაპონელებს და ეხლა თითონ სწავლობენ იმათ ტაქტიკას.

იაპონურ ტაქტიკასა და სამხედრო წესებს ბევრი სხვა არმიაც შეისწავლის. („რ.“).

გენ. სტესელის მეუღლე. ამ დღეებში გენ. სტესელის მეუღლეს ქ-ნ ვერა სტესელისას პეტერბურგში სახლი უყიდნია 240 ათას მანეთად. („ნ. დ.“).

რუს გლეხების წერილი ომზე. ცნობილმა რუსის „პატრიოტმა“ და „პახარ“-ის გამომცემელმა შარაპოვმა ამას წინად პატრიოტული მოწოდება გამოსცა და რუსის ხალხს იაპონიასთან ომის გაგრძელება ურჩია. ვიატკის გუბერნიის სოფ. უზეის გლეხებმა „სინ ოტეჩესტვა“-ში შემდეგი პასუხი დაუწერეს ბ. შარაპოვს.

„თქვენ მოწოდებას ავრცელებთ და უბედურ ომის გაგრძელებას თხოულობთ. ამაზე საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი გიპასუხოთ: ჩვენ ძლიერ ვეჭვობთ, რომ სახელმწიფოს მხოლოდ იარაღით შეეძლოს კეთილდღეობის შეძენა. განა თითონ თქვენ, განათლებული ხალხი, არ გვარწმუნებთ, რომ „საქმე სიმართლეა და არა ძალაო“. მაშ ასე გულმხურვალედ რად გვირჩევთ ომს განათლებულ იაპონიასთან, რომლისაც ჩვენ არა თუ მომზადებულნი არა ვართ ომისთვის, პირიქით, თითქმის ყველანი უვიცნი და უმეცრებისაგან გაოგნებულნი ვართ და ყოველნაირ პირდაპირ და მრუდე გადასახადებისაგან გალატაკებულნი და დატანჯულნი. თქვენ სქელი ჯიბე გაქვთ და ამიტომ ადვილად იძახით, „ჩვენ თითქმის არც კი ვამჩნევთ ომის სიძნელესაო“, რადგან, ალბად, არც თქვენ ძმებს, არც შვილებს საშობლოში დაგლეჯილ, ფეხ-ხელშეუვრ და დამშეულ ბავშვების ხროვა არ დაუტოვებიათ; მარილისა, ჩაისა, შაქრისა და ნავთის გაძვირებას ხომ თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენში-კი ზოგიერთმა გლეხებმა ომში ორ-ორი და სამ-სამი შვილი გაგზავნეს, თითონ მარტო ხელად დარჩნენ სახლში თავიანთ დედაბრებითა და უნიჭო ბალღებით. ეს გლეხები დიდი ხანია კვნესიან „სამხედრო ხარჯების სიძნელისაგან“, რომელსაც თქვენ ვერც-კი ამჩნევთ, რადგან იმათ ფულის მშოვნელი არავინა ჰყავთ, მრავალი უმოწყალო მოხარჯე-კი მუდამ ჯოხს ურახუნებთ თავში: ხან მიწის ხარჯს სთხოვენ, ხან ტყისა და საძოვარის ბაჟს, ხან უკანასკნელ ფქვილსა, ძროხასა და კვერცხს უყიდიან; მრევლის მღვდელსაც უნდა დაუზღვნონ ხარჯი! ამავე დროს მეომარი სალდათებიც მანჯურიიდან განუწყვეტლივ ემუდარებიან ამავე გლეხებს ხან პერანგისა, ხან ცოტა ფულის გაგზავნას. საიდან გაისტუმრონ გლეხმა ამოდენა ხარჯი? კარგად დაფიქრდით, ბ. შარაპოვო: განა ეს მძიმე ხარჯები არაა? ეს არა თუ მარტო აუტანელი, პირდაპირ დამღუპველი ხარჯებია, რადგან ბევრი სალდათის მამა—გლეხი სულ უდაბ-შვილოდ დარჩება, ანუ შვილები ომიდან დასახიჩრებული, დაშავებული და მუშაობისთვის გამოუსადეგრები მოუვლენ. მანამდე-კი სახლიდან გადასახადებსა და ხარჯებში უკანასკნელ საქონელს გაუყიდიან! სანაცვლოდ რომ ერთის წლით მაინც გაზეთის გამომცემლიდან უბრალო რუსის გლეხად იქცეთ, არა გვგონია, მაშინაც ეგრე ბეჯითად ურჩიოთ ხალხს სისხლის დაღვრა „პატიოსან ჯვრის გულისათვის“. ხარჯის შემკრებთა გარდა, გვაქვს ცოტაა სხვა „ხალხის გულშემატკივარი“, რომელნიც კრებებზე ყველას თანასწორობასა და მოყვასისადმი სიყვარულს უქადაგებენ და როცა-კი გლეხ-კაცს იმათთან საქმე შეხვდება, ხმას აღარც-კი სცემენ და თავიანთ გასამრჯელოს ერთი სამად მეტს ართმევენ დაწესებულზე? მაგალითად ავიღოთ თუნდ იგივე მრევლის მღვდლები. განაჩენის ძალით, ჯვარის საწერს 3 ან 5 მანეთზე ზევით არ უნდა გვართმევდნენ, ნამდვილად-კი გინდა ერთმა გლეხმა მაინც დაიწერა ამ ფასად ჯვარი? ყველას 3 და 5 მანეთის მაგივრად 7, 10 და 15 მანეთს ართმევენ! არცა არავის საჭიროდ მიაჩნია, რომ მღვდლებს ამოდენა ფულის აღება დაუშალოს.

არა, ბ. შარაპოვო, ჩვენ არა გვწადია „შორეულ“ ინტერესებისათვის მედგრად ვიომოთ, და ამავე დროს თვალები დავიხუჭოთ და არა ვხედავდეთ, რომ ჩვენ „ახლო“ ინტერესებს არავინ არა ზოგავს, არც არაფერი დაგვრჩა, რომ ომისათვის შევწიროთ. რაც-კი გვქონდა, ყველაფერი შევწირეთ.

გვიკვირს. ბ. შარაპოვო, რომ თქვენ გლეხკაცებსაც გვკითხავთ რჩევას: ვიომოთ, თუ შერიგება ვსთხოვოთ იაპონელებსაო. როგორც ომის დაწყების დროს არავინ არა გვკითხა-რა, ისე ამ ჟამადაც არავინ არ შეისმენს გლეხურ რჩევას, რადგან დიდ საქმეებზე ჩვენის სახელით ქიქრსა და თათბირს „სახელოვანი თავად-აზნაურნი და გრაფები“ არიან ჩვეულნი, ჩვენ მხოლოდ ისა გვწადია, ომი, რაც შეიძლება, მალე გათავდეს, და ჩვენმა ელჩებმა, რომლებსაც მეტად დიდი ჯამაგირები ეძლევათ, საპატიო და უზარალო პირობით შეჰკრან ზავი იაპონიასთან. ჩვენ გადასახადების შესუბუქებას ველით, რადგან უკონტრიბუციოდაც მეტად გვიმძიმს ხარჯების გასტუმრება. ჩვენ ველით აგრეთვე სწორე, სწრაფ და მოწყალე სამართლისაც და კარგ ზნეობრივ და სახელოსნო განათლებას. ჩვენ ძლიერ მოგვბეზრდა სიბნელეში ცხოვრება, სოფლის სასამართლოებში მთვრალ და სულელ გლეხის და ბატონ საეროზო უფროსების გასამართლება. მეტად დიდი სირცხვილია ჩვენთვის, რომ იაპონიამ ბევრში გვაჯობა და გაგვისწრო“.

ხელს აწერენ ვიატკის გუბერნიის, სოფ. უზელის მცხოვრებნი.

ხალხის ხმის გადამცემი

„სათათბიროს თავმჯდომარე მათ უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად მოუწყებს სათათბიროს მუშაობის შესახებ კეთილ განხილვისთვის“, ასე ამბობს ახალ დაწესებულების დებულება ხალხის ხმის გადამცემის შესახებ. ეს პუნქტიც ამოღებულია შიპოვის მოხსენებიდან, სადაც ნათქვამია: ხალხის აზრის უშუამდგომლოდ მეფისთვის გადაცემის იდეია მოითხოვს, რომ საერობო სახელმწიფოს რჩევის თავმჯდომარე, მაშასადამე მისი აზრების გადამცემი, იყოს პირი, დამტკიცებული მეფის მიერ რჩევისაგან წარდგენილ კანდიდატებიდან, რადგანაც მხოლოდ ამ წესით შეიძლება აცილება იმ უხერხულობისა, რომელიც უთუოდ იჩენს თავს, თუ ხალხისაგან ამორჩეულთა აზრს გადასცემს დანიშნული და მათთვის უცხო პირი“.

გაზეთებში დაბეჭდილ დებულებაში ახალ წეს-წყობილების შესახებ არ არის ნახსენები, რომ თავმჯდომარეს ამტკიცებს მეფე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ასე იქნება, რადგანაც დებულება შედგენილია, უეჭველია, შიპოვის მოხსენების მიხედვით. დავაკვირდეთ ხალხის ხმის გადაცემის საშუალებას, რომელიც მოწონებულია დებულების მიერ.

უმთავრესი აზრი ამგვარ საშუალების მოწონებისა გახლავთ სურვილი მეფემ უშუამდგომლოდ მოისმინოს ხალხის აზრი, ხალხის ხმა. მაგრამ სათანადოა საშუალება მიზნის სისრულეში მოსაყვანად? ჩვენ გადაჭრით ვამბობთ: არა. პირველი საბუთი ჩვენის უარყოფითის შეხედულებისა ხსენებულ საშუალებაზედ გახლავს ის, რომ მეფე თვითმპყრობელია და მასთან ადამიანი... უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე ბრმად-კი არ დაემორჩილება სახელმწიფო სათათბიროს ამორჩევას, არამედ დამტკიცების საკითხის გადაწყვეტაში შეიტანს თავის პიროვნებას, რომელიც ადვილად შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს სათათბიროს და მის მიერ ამორჩეულ თავმჯდომარის პიროვნებისაგან... და ეს-კი იმას ნიშნავს, რომ ხალხის აზრი, როგორათაც იგი გამოირკვა სათათბიროში, ვერ მიაღწევს მეფემდის იმ სახით, როგორაც სურს სათათბიროს. აი პირველი ლობე იმ გზაზე, რომელიც უნდა გადაიაროს ხალხის აზრმა, სანამ მეფემდის მიაღწევს. შიპოვი და მასთან დებულება არ ჰხედავს ამას და ფიქრობს, რომ თავისებური საშუალებით გაუხსნეს თავისუფალი, დაუბრკოლებელი გზა მეფის და ხალხის ერთობას.

ეს ლობე არა კმარა. არის უფრო მაღალი, უფრო გადაუვალი. ცოტა შორიდან დავიწყებ. ფსიხოლოგია გვასწავლის, რომ ადამიანი ცარიელი ქვევრი კი არ არის, რომ რასაც ჩასძახებს, იმას ამოიძახებს. ყოველივე შთაბეჭდილება, რომელიც შედის ჩვენ ცნობიერებაში, ფეროვანდება იმისდა-გვარად, თუ რანაირი შინაარსი იყო ცნობიერებისა ახალ შთაბეჭდილების შესვლამდის. ამიტომ ცნობიერება, სულის ცხოვრება ფრიად ინდივიდუალურია. თუ ამ ფსიხოლოგიურ დაკვირვებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ დავინახავთ, რა გამოუსადეგარი საშუალება ამოურჩევიათ შიპოვსა და დებულებას მეფისათვის ხალხის აზრის გადასაცემად. ხალხის აზრი, გამოთქმული სათათბიროში, ფსიხოლოგიურის კანონით, მიიღებს თავმჯდომარის-გადამცემის ცნობიერებაში თავისებურ ელფერს და ბეჭედს დაასვამს მაშინ, როდესაც თავმჯდომარე წარსდგება მეფის წინაშე სათათბიროს აზრის მოსახსენებლად. თავმჯდომარეს არ შეუძლიან ფონოგრაფი გახდეს და უსულო მანქანასავით მოახსენოს ის, რაც გაიგონა სათათბიროს კრებებზე. და თუ ეს „მანქანობა“ არ სდევს თავმჯდომარეს, მაშინ ვინ არის თავმდები, რომ ხალხის აზრი გადაცემული იქმნება ნამდვილად და სწორედ. ვინ არის თავმდები, რომ თავმჯდომარე არ მოისურვებს მეფის წინაშე გამარჯვება მოუპოვოს იმ აზრს, რომელსაც თვითონ ემხრობა, ზოგჯერ მარტოდ-მარტო. არავინ. და კორრექტივიც, შემასწორებელი საშუალებაც, არსად არის.

ეს მეორე გადაუვალი ლობე, რომელიც აბრკოლებს ხალხის აზრს თავისუფლად იაროს მეფემდის...

შ. ჩიტაძე.

ახალი ამბავი

—

◆ როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ერობის შესახებ საკითხების** განსახილველად ნამესტნიკის განკარგულებით, მოწვეულნი იქნებიან სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები. ინსტრუქციები **წარმომადგენელთა** ამორჩევის შესახებ უკვე დაეგზავნა დაწესებულებებს. ტფილისის გუბერნიის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლები შეუდგნენ მზადებას კრებების მოსაწვევად და კომისიების ამოსარჩევად. კომისიებმა უნდა შეიმუშავონ არჩევნების სისტემა.

◆ თუმცა, როგორც ამბობენ, კავკასიის ნამესტნიკმა უკვე მოახდინა განკარგულება ქართლელ თავად-აზნაურთა **მილიციის გაუქმების შესახებ**, მაგრამ მილიცია დღევანდლამდე განაგრძობს მოქმედებას და თავის ყოფა-ქცევით ცეცხლზე ნავთს ასხამს. როგორც გვატყობინებენ, ბევრმა მილიციონერმა მოინდომა თურმე ორგანიზაციიდან წასვლა, მაგრამ ვერ გაბედა.

◆ ამა აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოხდება ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება** რამდენიმე საქმის განსახილველად.

◆ ამას წინად გორში, როგორც „ივერია“ გადმოგვცემს, **კრება ჰქონიათ გორის მაზრის მასწავლებელთ**. კრებას ორმოცამდე კაცი დასწრებია. კრებას ერთხმად გადაუწყვეტია, პირველ ენკენისთვიდან **არ** განაახლონ სკოლებში სწავლა.

◆ სექტემბერში ტფილისში მოხდება საგანგებო თათბირი **კავკასიის მთა ადგილებში მცხოვრებთა სადგილ-მამულო საკითხის გადასაწყვეტად.**

◆ **ქალაქ სოხუმის თვით-მმართველობამ** შუამდგომლობა აღძრა სოხუმის ოლქი შეუერთდეს ქუთაისის გუბერნიას. ნამესტნიკის კანცელარიას-კი აზრად აქვს ხსენებული ოლქი შეუერთოს ჩერნომორის გუბერნიას.

◆ **სახალხო სკოლების დირექტორის ა. ჭიჭინაძის კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამა** სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა უკვე წარუდგინა ნამესტნიკის კანცელარიას. კანცელარიამ დაბეჭდილ პროგრამებისა თითო ცალი დაუგზავნა გამოცდილ პედაგოგებსა განზრახულია მოიწვიონ კრება პედაგოგებისა პროგრამის საბოლოოდ შესამუშავებლად. შემდეგ იგი დასამტკიცებლად ნამესტნიკს წარედგინება.

◆ **სახელმწიფო სათათბიროში** მთელ ამიერ-კავკასიას, როგორც „ნ. ო“.-ს გაუგია, მხოლოდ 28 წარმომადგენელი ეყოლება.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო ჯალალ მამედ-ყულიევს გამოსცეს ტფილისში **თათრულ ენაზე ყოველ დღიური გაზეთი „ნოვრუზ“** (ახალი დღე).

◆ **იმ გაფიცვების მიზეზთა** გამოსარკვევად, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მოხდა, პეტერბურგიდან ჩამოვიდა რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი იაშნოვი.

◆ 6 აგვისტოს ბათუმის საოლქო ადმინისტრაციას, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, **ზემო აჭარაში გაუგზავნია 100** თოფი, ქვემო აჭარაში—**50** თოფი.

◆ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია დროებით წესები **სომეხთა საეკლესიო მამულების** მართვა-გამგეობისა, რომლებიც მთავრობის დაწესებულებებს უნდა ჩამოერთვას.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს **კავკავში სამოსწავლო სემინარიის დაარსების** შესახებ.

◆ **მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა** აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, **რომ** მომავალ სამოსწავლო წელს სტიპენდიების დანიშვნის წესი ისევ დარჩება, **რაც** აქამდე იყო.

◆ **სად. აბაშა.** 10 ივლისს, დილის 5 საათზე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გახსნეს ლიანდაგი მე-54 ვერსზე, მაგრამ მემანქანემ დროზე შენიშნა და მატარებელი № 374 შეაჩერა.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ხელმეორედ გამოსაცდელი ეგზამენი დანიშნულია 28 აგვისტოსათვის, ხოლო მისაღები ეგზამენები 26 აგვისტოს.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ტფ. ქალაქის გამგეობის 50 მოხელემ პროტესტი გამოუცხადა გამგეობას გედევანიშვილისა და კუმსიშვილის ქალების მიღებისა გამო. ქალაქის თავმა აცნობა მსახურთ, რომ თუმცა პრინციპიალურად თქვენი მოთხოვნილება სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ იმ პირთა შესახებ წარმოდგენილება გამგეობის განყოფილებათა უფროსებისა იმდენად საფუძვლიანია, რომ უყურადღებოდ დარჩება მოხელეთა პროტესტიო.

◆ ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიის მთავრობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას 4—6,000 მან. შემწეობა აღმოუჩინოს გიმნაზიას ყოველ წლობით. ქალაქის საბჭოს ნება ექნება წარმომადგენელი იყოლიოს და მონაწილეობა მიიღოს გიმნაზიის საქმეებში. გამგეობამ ეს განცხადება გუშინ სასწავლებელთა კომისიას გადასცა.

◆ სად. ძევამი. 10 ივლისს, რვა-ნახევარ საათზე, როდესაც მატარებელი № 237 მე-42 ვერსზე მიდიოდა, ვიღაც სამი შეიარაღებული კაცი ავარდა ვაგონზედ და კონდუქტორი გაბრიაძე და ჯაბაური გაძარცვა.

◆ სად. განჯა. 10 აგვისტოს მეისრე ზაქარია ბერძენიშვილი ვაგონების გადაბმის დროს დაშავდა.

◆ სად. ბაქო. 10 აგვისტოს ღამე დაეცნენ საწყობს. ამ დროს რევოლვერით დასჭრეს დარაჯი ზაქარია გელეიშვილი.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ „ც. ფ.“-ს ნომერში დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ თავ. იასონ თავლენიშვილისა. წერილში ნათქვამია, ვითომ ფავლენიშვილი ოდესაში ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული ყოფილიყოს ხუთის თვით, უნდა იყოს: ხუთის წლით.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 8 აგვისტო. დღეს, 10 აგვისტოს მეეტლემ მძიმედ დასჭრა ევდოკიმოვი, ფოსტის იჯარადარი.

პეტერბურგი. 10 აგვისტო. როგორც ხმებია, გრაფ სოლსკის საგანგებო რჩევაში შევა საკითხი კავშირების დაარსების უფლებისა და სათათბიროს წევრებად ასარჩევ კანდიდატების კამათისა და კრიტიკის თავისუფლების შესახებ. საარჩევნო კრებების წინა კრებაზე ამომრჩეველნი წარუდგენენ თავიანთ კანდიდატებს იმ პრინციპების პროგრამას, რომლებითაც ისინი ზნეობრივად არიან ვალდებულნი იხელმძღვანელონ.

„რუს“-ის ცნობით, სათათბიროში წევრების არჩევნები დეკემბერში მოხდება. განზრახულია, დაარსდეს საგანგებო კომიტეტი სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლებისაგან იმ საკითხების განსახილველად, რომელნიც შეკავშირებულია არჩევნების ორგანიზაციასთან.

აღიძვრება საკითხი იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს წართმეული უფლებები მთელს რიგს იმ პირებისას, რომელთაც ადმინისტრაციის და სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოერთვა უფლება თავისუფლად ცხოვრებისა ერთ ადგილას, პროფესიის თავისუფლად არჩევისა და მისვლა-მოსვლისა.

არაა სწორი ის ცნობები, ვითომც პეტერბურგში მოეწვიოთ ადგილობრივ უმაღლესს ადმინისტრაციის წარმომადგენელნი სათათბიროში არჩევნების ორგანიზაციის შესახებ.

„რუს“-ი იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება კანონ-პროექტი საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფების უფლების შესახებ; სახელდობრ კავშირების დაარსებისა და კრებების გამართვაზე სახელმწიფო საკითხებზე მოსალაპარაკებლად. ამ კანონ-პროექტს საფუძვლად დაედება პრუსიის კანონი, რომლის ძალით შემოღებულ უნდა იქნას გამოცხადებითი სისტემა.

სარწმუნოების თავისუფლების საგანგებო რჩევაში მუშავდება საკითხი კათოლიკეთა, ლუთერანთა და იუდეველების სარწმუნოების მდგომარეობის შემსუბუქებაზე.

სოფლად

კახეთი. მაინც და მაინც სისხლი დაიღვარა. ს. გრემში მოჰკლეს ორი დედაკაცი, ერთი 13 წლ. ქალიშვილი და ერთი კაცი. დაჭრილია ცხრა, რომელთაგან, ამბობენ, ოთხი ან ხუთი გადარჩება. ს. გრემში მიწის მზომელია მოსული თავ. ჯორჯაძეებსა და მაყაშვილებს შორის ტყის გასაყოფად. ეს ტყე, რომელსაც ახლა თავადები იყოფენ, საზოგადო სარგებლობაში ყოფილა, ე. ი. უსარგებლნიათ თავ. ჯორჯაძეებს, მაყაშვილებს, ამათ ნაყმევებს, საეკლესიო და სახელმწიფო გლეხებს. როცა დავა ჰქონიათ თავადებს მონაწილეობის რაოდენობაზე, გლეხებსაც განუცხადებიათ თავიანთი უფლება. ერთ ნაწილს გლეხებისას მოუგია უფლება სარგებლობისა და სამაგიეროდ 175 დესეტ. საკუთრებად გადაწყვეტილა, ხოლო მეორე ნაწილს დაჰპირებიან 200 დეს. და უარი უთქმევინებიათ სარგებლობის უფლებაზე. ახლა ეს მეორე ნაწილი გლეხებისა თხოულობს, რომ ისევ აღდგენილ იქნას უფლება საერთო სარგებლობისა, რადგან 200 დესეტინის დაპირებით ჩამოურთმევიათ ეს უფლება და არც დაპირებული შეუსრულებიათ. ამასთან გლეხები თხოულობენ გაყოფა გადადდეთ და ახალი პროექტი შედგინათ, რადგან შედგენილსა და დამტკიცებულ პროექტში შეტანილი არ არის დაპირებული და ახლა აღარც დაკმაყოფილდებიან 200 დესეტინით. თავადები თანახმანი იყვნენ გადაედოთ გაყოფა, ამაზე თხოვნაც შეუტანიათ, მაგრამ უმაღლეს მთავრობას გაყოფის სისრულეში მოყვანა უბრძანებია, რაკი თხოვნაში გადადების მიზეზად გლეხთა მოძრაობა ყოფილა დასახელებული.

2 აგვისტოს ყოფილა დანიშნული გაყოფისათვის ტყეში წასვლა. გლეხებს არ შეუშვიათ ტყეში. დაწყებულა მოლაპარაკება თავადებსა და გლეხებს შორის. თავადებს 140 დეს. კიდევ მეტი შეუძლევიათ გლეხებისათვის, ხოლო ამის აღსრულებაში მოყვანა ფორმალურის მხრით ვერ მოუხერხებიათ, თანაც მონაწილენი ვერ შეთანხმებულან. ზოგს ისევ გაყოფა უთხოვნია და ზოგს-კი გაყოფის გადადება. თვით მიწის მზომელსა და ბოქაულს ბრძანების სისრულეში მოყვანა გადაუწყვეტიათ, რისთვისაც მთელი რაზმი ჩამდგარა სოფელში. დაინიშნა 8 აგვისტო. გლეხებმა ისევ თავისი მოთხოვნილება გაიმეორეს—ტყის საერთო სარგებლობაში დატოვება, ტყე ყველასია, გაყოფა არ უნდა, ყველამ საერთოდ ვისარგებლოთო, გაიძახოდნენ ისინი. ბევრს ურჩევდნენ, უჩვენებდნენ უმაღლეს მთავრობის განკარგულებას, ეუბნებოდნენ, რომ ამ ბრძანების აუსრულებლობა არ იქმნება და თუ თქვენ დაუშლით, ცუდი შედეგი ექნება, ნაბრძანები აქვთ, თოფი გესროლონო, მაგრამ გლეხებს არა სჯეროდათ, რომ გაიმეტებდნენ.

მიწის მზომელს და სხვებს გასაყოფად წასულებს უნდა გაევლოთ გრემის კალოებზე, სადაც თავმოყრილი იყო დიდ-პატარიანა გლეხობა. 8 აგვისტოს მიწის მზომელი გაემგზავრა ტყისკენ, თან ახლა ბოქაული ედევანიშვილი დარაჯებით და მთელი რაზმი ყაზახ-რუსებისა. შესავალ გზაზე, კალოებზე გლეხები, უფრო-კი მოხუცებულები, წინ გადეღობნენ. ბოქაულმა დარაჯებით შეუტიეს გლეხებს და მათრახები დაუშინეს. გლეხებმა კიჟინით, ხელებისა და ჯოხის ქნევით დაუფთხინეს ცხენები, ზოგს მათგანს ჯოხიც მოარტყეს მათრახით გამწვავებულებმა. ყველა ამის შედეგი ის იყო, რომ სროლის შემდეგ მკვდარი აღმოჩნდა ორი დედაკაცი, ერთი ქალიშვილი და ერთიც კაცი, ხოლო დაჭრილი 9 სული. მიწის მზომელს თავადები სთხოვდნენ არ მისულიყო, არც თვითონ გაჰყვნენ, ვერც მუშა მისცეს, რადგან წინა დღითვე ბოიკოტი გამოუცხადეს და მოჯამაგირეები გამოიყვანეს.

ამის შემდეგ მიწის მზომელი და ბოქაული ედევანიშვილი უკან დაბრუნდნენ, ტყეში ფეხიც არ შეუდგამთ, თუმცა გზა დაცლილი იყო....

ბარში ასეთი ამბავია, მაგრამ არც მთიდან ისმის სანუგეშო ამბავი. ქისტებმა შეაწუხეს მთა. სათარეშოდ გადმოსულ ქისტების რიცხვი ასე 1000—1500 იქნება. ესენი ცროშებით და მხედრული წეს-წყობილებით დასცემიან სოფლებს, გაურეკიათ ათასობით ცხვარი, ასობით მსხვილ-ფეხა საქონელი, დასცემიან სოფლებს: უკანაფშავს, უძილაურს, მათურას, და შატილს, აუკლიათ, დაუვლიათ და წასულან. შუაფხოში ერთის დედაკაცისთვის იმისი მარჩენალი ძროხა მოეტაცნათ, ბევრი დედაკაცი ბდღვილით დასდევნებია და ისიც მოუკლავთ. მათურა

ლეტონი

—

სახალხო უნივერსიტეტი ჩვენში.

ბურჟუაზია, არისტოკრატია და ბიუროკრატია გრძელ გზას ადგია განათლების საქმეში... გიმნაზიისათვის მოსამზადებლად იგი ახმარებს სამს-ოთხს წელიწადს; თვით გიმნაზიის კურსის დასრულებას ანდომებს რვა-ცხრა წელიწადს, დიპლომის მიღებისათვის უნივერსიტეტში სწავლობს ოთხს-ხუთს წელიწადს. სულ სწავლის დამთავრებას ეს სამი წოდება ანდომებს უკანასკნელ თხუთმეტს წელიწადს. მეოთხე წოდებას ანუ ხალხს არ შეუძლიან ასეთი გძელი გზა ამოირჩიოს განათლებისათვის. მას არა აქვს ამისათვის არც საჭირო დრო, არც საჭირო ნივთიერი სახსარი. მაგრამ თუნდაც რომ ჰქონდეს, ეს გზა მისთვის გამოსადეგი არ იქმნება. სწავლის საქმე გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე უნივერსიტეტში ისეა მოწყობილი, რომ იგინი წარმოადგენენ დიდს სამოსწავლო ქარხნებს, სადაც მზადდებიან მოხელეები და ბურჟუები. ხალხს-კი სრულიად სხვა სწავლა ესაჭიროება, სრულიად სხვა ცოდნა სწყურიან. სწავლამ და ცოდნამ იგი უნდა მოამზადოს ერთი მხრივ ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრივ სოციალურ სანატრელ ცვლილებისათვის. ამასთან თუ ამ ორ-გვარს ბრძოლისათვის მოემზადება მხოლოდ მცირედი ნაწილი ხალხისა და უმრავლესობა-კი სიბნელეში დარჩება, მაშინ ეს ბნელი უმრავლესობა ნათელს უმცირესობის უკვალს ცდას ფუჭად ჩაატარებს. მაშასადამე, საჭიროა ისეთი ხელსაწყენელი ჩირაღდნები, ანუ ლამპრები ცოდნისა დაუნთოთ თვით ხალხს შორის, რომ მთელს ერში მოეფინოს გონებრივი ნათელი. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის განათლების ლამპრის სიახლოვე ხალხთან. ლამპარი შეიძლება შენს გვერდით იყოს, მაგრამ ხრჩოლავდეს და რიგიანად ვერ განათებდეს. წარმოიდგინეთ, რომ სახალხო სასწავლებელი სოფლების შუა-გულშია; მაგრამ სწავლება-კი მიდის არა დედა-ენაზე, არამედ სახელმწიფო ენაზედ. რას მოჰფენს თავის გარშემო ამისთანა ლამპარი? არა სინათლესა, არამედ კვამლსა, ჭვარტლს და ბურუსსა. შევჩერდეთ ერთს წამს ამ საგანზე, ენის მნიშვნელობაზე. მაღალთა წოდებათა და მეოთხე წოდების დამოკიდებულება დედა-ენასთან ბევრით განირჩევა ერთმანეთისაგან. პირველ წოდებათ სისხლი შერეული აქვთ, აგებულობა მათის ბუნებისა წმინდა ეროვნული არ არის. ამიტომ უცხო ენის ხმარება სასტიკად არ ეწინააღმდეგება მათს ბუნებასა. ამას გარდა იგინი დაბადებიდანვე ტრიალობენ მთავარის ერის შვილთა შორის და ადრიდანვე სწავლობენ სახელმწიფო ენასა თვით ოჯახშივე პატარაობიდანვე, მიუხედავად ამისა, საგნების სწავლება სახელმწიფო ენაზე არა მარტო მოსამზადებელს კლასებში, არამედ პროგიმნაზიებშიაც უნდა ჩაითვალოს მეტად მავნებლად მაღალთა წოდებათა შვილებისათვისაც..

მით უმეტეს მავნებელია სწავლება უცხო ენაზე ხალხისათვის. ხალხის ძარღვებში სდის წმინდა ეროვნული სისხლი, მისი ბუნება მთლად ეროვნულია. ამიტომ არა ბუნებრივი ენის ხმარება სასტიკად ეწინააღმდეგება ხალხის ბუნებას, აგებულობასა, უხშობს მას შემოქმედების ძალასა, თავისებურობას ნიჭისას და მეტად აბრკოლებს ცოდნის მიფენას ხალხში... აბრკოლებს იმის გამო, რომ ხალხი მოკლებულია დროის ძალას რომელიმე უცხო ენა იმდენად შეითვისოს, რომ მისი შუამავლობით ცოდნის შეძენა შეეძლოს. საყველპურო ცოდნა ამისთანა ენისა საბაზროდ თუ გამოდგება, თორემ განათლებისათვის ყოვლად უძლურია. გაუგებარი ენა როგორ გააგებინებს ხალხს გასაგებ, ასახსნელს, განსამარტებელს საგნებსა! სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს დედა-ენას განათლების საქმეში. იგი კარგად იცის ხალხმა, აკვნიდან აქვს ღრმად შესწავლილი, იგი შეხორცებულია მის გონებასა და გულთან და ამის გამო შეუდარებელ დონის ძალას წარმოადგენს სწავლისა და ცოდნის მოფენისათვის. გასაგებს გაგებულით იგებს, ერი, ასახსნელს ახსნილით, განსამარტებელს განმარტებულით, საცოდნელს ცნობილით. დედა-ენას მეოთხე წოდებისათვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველის სამის წოდებისათვის. იგი ნამდვილს დემოკრატიულს იარაღს წარმოადგენს.

ამიტომ ხალხის განათლება უნდა თავიდან ბოლომდე მოეწყოს უსათუოდ დედა-ენაზე. ამას მოითხოვს არა მარტო სიკეთე ხალხისა, არამედ დიდი ნაციონალური ინტერესიც.

√ ენა, როგორც მოგეხსენებათ, ცოცხალი ორგანიზმია. იგი თხოულობს მუდმივ ზრდას, განვითარებასა. შეაჩერეთ მისი ზრდა, და იგი დაჭკნობას იწყებს, უკან-უკან წავა, გადაგვარდება, გაქრება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქნელ ერსაც. ჩააყენეთ იგი ნორმალურს მდგომარეობაში, შექმენით მისი ზრდისათვის საჭირო პირობანი და იგი განვითარდება, აყვავდება, გამდიდრდება ლექსიკონით და ფორმებით, თავისს ლიტერატურას აღორძინებს, ჭკვიანურებს დაბადებს და შექმნის ნაციონალურს ნიადაგზე და მოამზადებს თავის შემქნელ ერს ნათელსა და სანატრელ მომავალსა.

√ სიკვდილის გზას ადგია ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსსა და სკოლაში... იზრდება, ძალით და დონით ივსება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში...

ეს კარგად უნდა გვესმოდეს ქართველებსა და ჩვენი ენა გავამეფოთ არა მარტო ოჯახში, არამედ ყოველ სახალხო სკოლაშიაც, რა ხარისხისაც უნდა იყოს ეს სკოლა....

გვითქვამს, ჩვენი სამოსწავლო გეგმა, რომელიც ჩვენს წინაწერილში განვმარტეთ,*) მიღებულ და სისრულეში მოყვანილ იქმნას. გვითქვამს, ყველა ქართველ სოფელში დაარსდეს ქართული წერა-კითხვის სკოლა ორის წლის კურსით. გვითქვამს, ყოველმა ოთხმა-ხუთმა სოფელმა შეერთებულის ძალით დააფუძნოს სახალხო სკოლა ოთხის წლის კურსით, სადაც ყველა საგნების სწავლება იქნება დედა-ენაზე. გვითქვამს, კიდევ მეტიც: ჩვენმა ხალხმა, თავისუფლად რგვის წესით მოღონიერებულმა ნივთიერად, მიუმატოს სახალხო სკოლას ორი წლის კურსი კიდევ და მთელის რვა წლის განმავლობაში სწავლება თვისი მოზარდი თაობისა უზრუნველ ყოფილი გახადოს. საკმარისი იქნება ეს ცოდნის მოფენისა და ენის გამდიდრებისათვის ხალხში?

არა, საჭიროა უმაღლესი კურსები ხალხისათვის, მის შორის დაარსებული, ანუ ქართული სახალხო უნივერსიტეტი. ამისთანა დიდი სწავლის ლამპარი დიდ დროს და დიდ ხარჯს არ მოითხოვს და ყოველ კუთხეს საქართველოისას შეუძლიან საკუთარი უნივერსიტეტი დაარსოს და შეინახოს.

სახალხო უნივერსიტეტი ევროპასა და ამერიკაში საუკეთესო ღონისძიებად მიაჩნიათ განათლების მოფენისათვის ხალხში. ჩვენში იგი უფრო უკეთეს, უფრო უსაჭიროეს დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს და აი რად: ევროპასა და ამერიკაში ყოველს ერს თავისს დედა-ენაზედ აქვს მოწყობილი სწავლა ყოველგვარს სასწავლებელში. რომელ სასწავლებელშიაც უნდა შევიდეს იქაური გლეხის შვილი, ყველგან მას დახვდება გამეფებული მისი მშობლიური ენა, რომელიც ჩინებულად ესმის. ჩვენში კი წამლადაც ვერ მოსძებნით ვერც ერთ საშუალო სასწავლებელს, სადაც საგნებს დედა-ენაზე ასწავლიდნენ. ეს გარემოება ჩვენებურს ხალხს უკეტავს კარებს ყოველი სასწავლებლისას. ამისთვის ქართული უნივერსიტეტი მისთვის ერთად ერთი ღონისძიებაა სანატრელის სწავლის შეძენისათვის. ამასთან იგი ბევრად უფრო ცოცხალი დაწესებულებაა, ვიდრე ოფიციალური სასწავლებლები. გიმნაზიებში მკაცრად, მოწაფეებს ტვინს უცხის ლექსიკას უჭედავენ, გაზეპირება მშრალი სახელმძღვანელოებისა. სახალხო უნივერსიტეტში გადმოეცემათ ცოცხალი სიტყვა, იქ ისმენენ ცოცხალს ლექციებს და მოშორებულნი არიან მშრალ წიგნების გაზეპირებას. ოფიციალურს სასწავლებლებში მასწავლებელნი არიან ყურმოჭრილნი ყმანი ბიუროკრატიული რეჟიმისა და სულ იმას ცდილობენ, თუ როგორ აამონ თავის უფროსებსა და წინ წაიწიონ სამსახურში. მოსწავლეთა სიკეთე კი ვის აგონდება, მეტ-ნაკლებობით დავიწყებულია. სახალხო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ თავისუფალნი ინტელიგენტნი, განსწავლულნი მამულიშვილნი, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ხალხის სიკეთით. თუ მათ შორის მოექცევა რომელიმე მოხელე-მასწავლებელი, იგიც ხალხის ინტერესით ივსება, რადგანაც ხალხი არა მარტო დამაარსებელი და შემნახველია თავისი უმაღლესი სკოლისა, არამედ სრული მისი პატრონი.

მაგრამ საქმე ის არის, რა უნდა ისწავლოს ხალხმა ამ თავისს უნივერსიტეტში? ევროპასა და ამერიკაში ასწავლიან უმეტესად ზოგად საგნებს, რომელნიც სახალხო სკოლის გეგმაში არიან მოქცეულნი, მხოლოდ უფრო ვრცლად და დაწვრილებით.

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ 2 აგვისტოდან.

სულ მთლად ბუკლიათ, გაუნადგურებიათ და ვინც გადარჩენილა, დუშეთში ჩახიზნულა. ადამიანის მსხვერპლიც არის, მხოლოდ გამორკვეული არ არის,—რამდენი. ქისტები მშვენივრად ყოფილან შეიარაღებული, ერთ მათგანისათვის ერთ თუშს მაუზერის თოფიც-კი წაურთმევია. ფშავ-ხევსურებს-კი, როგორც ვიცით, იარაღის ტარება აკრძალული აქვს. რა უნდა ჰქნას ასეთ პირობებში მთიელმა? ანდიის ოლქშიაც ლეკებს და მწყესებს სრული ჰქონიათ. მთავრობამდისაც მიაღწია ამ ამბავმა და ჯარიც გაჰგზავნეს გროზნიდან, კავკავიდან და აქეთა მხრიდან. თითქმის ყოველ დღე სხვა და სხვა ამბავი ჩამოდის მთიდან.

დუშეთის მაზრის სამღვდელოების კრება

3 აგვისტოს მოხდა დუშეთის სამღვდელოების კრება თავის საჭირბოროტო საქმეების განსახილველად. კრებას დაესწრო 60 მეტი სამღვდელო პირი. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: ეთხოვოს ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ არჩეულ კომისიას, შეიმუშაოს და საბოლოოდ გადასწყვიტოს საკითხი სასულიერო სასწავლებლის შესახებ. ყოველ შემთხვევაში დუშეთის სამღვდელოება აღნიშნულ სკოლებს, ვიდრე ეს სკოლები არ გადაკეთდება, გაუქმებულ-დაკეტილად აღიარებს. ეცნობოს სასულიერო წოდების პირთ, რომ მათ თავიანთი შვილები აღარ გაჰგზავნონ აღნიშნულ სასწავლებლებში ვადამდე, რომელიც თავის დროზედვე ეცნობება ყველას; ამორჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდოს ტფ. სასულიერო და ქალთა საეპარქიო სასწავლებლების მდგომარეობის შესწავლა და რევიზია, რადგან საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატების კრება ეს 8 წელიწადია არავის მოუწვევია და, მაშასადამე, სამღვდელოებამ ამ სასწავლებლებისა არა იცის რა; მიღებულ იქნას ყოველივე საშუალება, რომ ტფ. სასულიერო სემინარიის ძველი შენობა, რომელიც საექსარხოსოს სამღვდელოების სახსრით არის აგებული, სამღვდელოების საკუთრებად იქნეს აღიარებული; რადგან საეკკლესიო საბუთების ბლანკები მეტად ძვირად უჯდება ისედაც დაბეჩავებულ-გაღარიბებულ სოფლის ეკკლესიებს, დუშეთის სამღვდელოება სულ უარჰყოფს ამ ბლანკების გამოწერას სასინოდო კანტორიდან. სამღვდელოებას მიეცეს უფლება თვითონვე შეიძინოს საჭირო საბუთებისათვის მასალა და აუცილებლად ქართულ ენაზე აწარმოვოს საქმეები; სასულიერო ჟურნალი „Духовный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата“ არამც თუ ვერ აკმაყოფილებს სულიერს მოთხოვნილებას სამღვდელოებისას, პირიქით, უბღალავს მის ეროვნულ გრძნობებს (იხ. № 13—14), ამისათვის აღნიშნულ ჟურნალის რედაქციას გაეგზავნოს ნომრები ჟურნალისა უკანვე და ეცნობოს, რომ ამიერიდან დუშეთის მაზრის ეკკლესიები განთავისუფლებულ იქმნენ ჟურნალის დასაკვეთ ფულის გადასახადებისაგან და არც ეკკლესიებს და არც სასულიერო პირთ ჟურნალი აღარ გაეგზავნოთ. ეს დადგენილება ეცნობოს როგორც სათოსტო კანტორას, ისე სასინოდო კანტორასაც; ყველგან და ყოველთვის, სადაც კი საჭირო იქნება სასულიერო წოდების დეპუტატ-წარმომადგენელი, იგი აუცილებლად სამღვდელოების მიერ იქნეს ამორჩეული და მისის რწმუნებით გაგზავნილი. დასასრულ სამღვდელოებამ საჭიროდ სცნო საამხანაგო სამედიატორო სასამართლოს დაარსება. სასამართლოს წევრებად არჩეულ იქმნა 5 კაცი და 3 მათი კანდიდატი. წევრთაგან სამი მღვდელია, ერთი დიაკვანი და ერთი მედავითნე.

რუსეთის ქრონიკა

ყაზახების გალაშქრება. გაზეთებში გამოქვეყნებულია სარატოვის გუბერნატორის მოწერილობა პოლიცმეისტერისა და ბოქაულისადმი, რომ პოლიციის მიერ გამოწვეულმა ყაზახებმა ბალაშოვში მათრახებით ცემა დაუწყეს საქალაქო უწყების პირთ და მათ შორის ნ. ლვოვს, რომელიც იმ ჟამად თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობას ასრულებდა. („რ. ვედ.“).

რუსეთის მოღვაწეთა შეერთებული თათბირი. „სლოვო“-ს სიტყვით, 11 აგვისტოდან მთელ რუსეთში გაიმართება საქალაქო და საერობო მოღვაწეთა შეერთებული თათბირები საერო წარმომადგენლობის შესახებ. თათბირები დაიწყება ყაზანის, სამარის, სარატოვის, ნიჟეგოროდის და იაროსლავის გუბერნიებში, შემდეგ სამხრეთისა და დასავლეთის და ბოლოს შიდა გუბერნიებში. აგვისტოს გასულს მოსკოვში მოელიან მთელ რუსეთის მოღვაწეთა კრებას. („რ. ვ.“).

სახალხო განათლების მინისტრი გენ.-ლეიტ. გლაზოვი, როგორც ამბობენ, სამსახურს თავს ანებებს თურმე და მის მოადგილედ ინიშნება ა. კონი. („რ. ვ.“).

საეჭვო პირთა შეპყრობა. რეველში 9 ივლისს ორმოცამდე ქალი და ვაჟი დაუჭერიათ, როგორც პოლიტიკურის მხრით არა საიმედო პირნი.

ბესარაბიაში 11 ივლისს დაუჭერიათ ერთი ახალგაზდა კაცი, რომელიც „ბუნდა“-ს სარევოლიუციო კომიტეტის მიერ გამოცემულ პროკლამაციებსა ჰყრიდა ქუჩა-ქუჩა. დაჭერის დროს აღმოაჩნდა ჯიბეში ოცი პროკლამაცია და ბინაზედაც რამდენიმე არა-ლეგალური გამოცემანი.

ორლოვის გუბ. ქ. ბრიანსკში დაუჭერიათ ადგილობრივ სატეხნიკო სკოლის მოწაფე შირაევი, რომელსაც აღმოაჩნდა ბინაზე სასტამბო მასალა და იარაღები. („პრ.“).

ანარხისტების ბინის აღმოჩენა. მოსკოვის გუბერნიის ს. ბოგოროდსკში ჟანდარმთა პოლიციას აღმოუჩენია ანარქისტთა ბინა და როცა ჟანდარმთა შტაბს-კაპიტანის კრუშინსკის მეთაურობით გაუჩხრეკიათ, ერთ იმათგანს დაუყვირნია, „მაგის ნებას არ მოგცემთო“ და უსროლია რევოლვერი კრუშინსკისათვის, მაგრამ აუცდენია. მსროლელი შეუპყრიათ და სამხედრო სასამართლოში მიუციათ. („პრ.“).

გაზეთების გამოცემა-კითხვის აკრძალვა. ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს ნება არ მიუცია, რომ პოლტავაში გამოეცათ სასოფლო გაზეთი სახელად „ლისტოკ პოლტავსკაგო ზემსტვა“.

კრესტცოვის მაზრაში (ნოვგ. გუბ.) საერობო უფროსებს აუკრძალავთ გლეხთათვის ეგრედ წოდებულ „ლიბერალური“ გაზეთის კითხვა. („პრ.“).

ბალაშოვის არეულობა. სარატოვის გუბერნიის ბალაშოვის ქალაქის საბჭომ აცნობა მაზრის ხმოსნებს, რომ 21 ივლისს საერობო ექიმებსა და სხვა მოხელეთ თავს დაესხა საეჭვო კაცების ბრბო, დალეწა თეოდოროვის და ტარასკინის სახლები და დააპირა საბჭოს შენობის დაქცევაც. მოხელეებს ქუჩებში სდევნიდნენ და სცემდნენ. ექიმი შმიდტი, ნევზოროვი და საბჭოს მოხელე კორნეტსკი მძიმეთ დასჭრეს. გუბერნატორის მიერ გაგზავნილმა ყაზახებმა, რომელთაც უნდა გაეცილებინათ ექიმები რკინის გზის სადგურამდე, ჰდაუშენიათ მათრახები და განურჩევლად ყველასათვის უცემიათ. უცემიათ თავად-აზნაურთა წინამძღოლის ლვოვისა, 6 ექიმის და 10—12 სხვა მოხელისათვის. აქედან თავ დასასწრებად გაქცეულ ექიმების ნევზოროვისა და მეძღვესისათვის ახლა პოლიციაში უცემიათ ჟანდარმებს. („რ. ვ.“).

უსაქმოდ მყოფი ადმირალები. „რუს“-ის სიტყვით, რუსეთის ადმირალების რიცხვი იმდენია ამ ჟამად, რომ ზოგ იმათგანს ისეთ ადგილებზე ნიშნავენ, რომელსაც ფლოტის უბრალო შტაბ-ოფიცრებიც შეასრულებდნენ. მაგალითად, ორ ადმირალს შორის, ერთი ჯავშნიან გემების კეთებას უვლებს ყურს პეტერბურგში, ხოლო მეორე ადმირალი კამანდის გამგებლად არის ლიბავაში. ამათ გარდა არიან სრულიად უსაქმოდ მყოფი ადმირალებიც, როგორც უხტომსკი, რომელიც არავერ საქმეს არ აკეთებს და ჯამაგირს-კი დიდს იღებს. („რ. რ.“).

ბრალდებულთ გასამართლება სამხედრო სასამართლოში. საზღვაო სამხედრო სასამართლოში 2 აგვისტოს დანიშნული იყო განსახილველად ჯავშნიან გემს „სინოპ“-ზე მომხდარი ამბები. ამ საქმის გამო 16 ბრალდებულია სასამართლოში მიცემული. („რ. ს.“).

დამნაშავეთა სასჯელის გაძლიერება. გალპერინისა და სხვათა გასამართლების თაობაზე, რომელთაც სამხედრო სასამართლომ ოცის წლის კატორგა გადაუწყვიტა,—სამხედრო პროკურორს ზალიესკის პროტესტი შეუტანია და თხოულობს, რომ სიკვდილით დაისაჯნენ დამნაშავენი. („რ. ს.“).

„დამოუკიდებელ მიზეზთა“ გამო უცილოფერს ხელი ეშლება. სახელოვანი მეცნიერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაქსიმ კოვალევსკი, პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს მოუწვევია, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან წაეკითხა რამდენიმე ლექცია დასავლეთ ევროპის კონსტიტუციონალურ სახელმწიფოებზე. კოვალევსკის თანხმობა გამოუცხადებია, მაგრამ „დამოუკიდებელ მიზეზთა გამო“ ამ ლექციების წაკითხვა აღარ მოხდება, გვაცნობებს „ს. ო.“.

ხარჯთ-ამკრების მოკვლა. ანაპაში 4 აგვისტოს მოუკლავთ სახელმწიფო სასმელების დუქნების ხარჯთ-ამკრეფი და წაურთმევიათ 6,000 მანეთი. („რ. ს.“).

განახლებული მოძრაობა ხალხისა. გუბერნატორი ხარუზინი საჩქაროდ წასულა ორგეევის მაზრის ს. შოლდანეშტში, სადაც ისევ ამტყდარა აგრარული მოძრაობა. („სლ.“).

შავ რაზმთა თარეშობა. მეტ სიძლიერეს იჩენს თურმე სარატოვში. შავ რაზმელნი მოქმედების გარდა აუარებელ მუქარის წერილებსაც უგზავნიან თურმე ინტელიგენტებს. („სლ.“).

პორტ-არტურში დაღუპულ გენერლის კონდრატენკოს ქვრივისთვის 4,000 მანეთი წლიური პენსია დაუნიშნავთ. („ბ. ვედ.“).

ხაზინაზე თავდასხმა. 29 ივლისს შეიარაღებული ბრბო დასცემია ხაზინას ვენგროვში, შეუკრავთ ხაზინის მცველი, შეუმტვრევიათ კარები, სასიკვდილოდ დაუჭრიათ ხაზინის მოლარე მოხელე პარტაშევიჩი და ხელი მოუყვიათ ფულიან შკაფებისათვის. ხმაურობით გამოღვიძებული კასირი დაცენკო გადამხტარა ფანჯრიდან და შეუტყობინებია მაზრის უფროსისათვის. ამას შეუყრია საერო დარაჯები და ჯარი და თავს დასხმიან მტაცებლებს, რომელნიც დანახვაზე გაქცეულან რევოლვერების სროლით და ბნელაში მიმალულან. ამ გვარივე თავდასხმა ხაზინაზე ლიუბარტოვშიაც მომხდარა. მტაცებლები მივარდნიან ხაზინადარს სტეფევიჩს, დაუჭრიათ რევოლვერით და ფული მოუთხოვნიათ. როცა ხაზინადარს ხმლით წინააღმდეგობა გაუწევია, გამძარცველებს ყუმბარა გადაუგდიათ და გაქცეულან. სწორედ ამავე დროს ხაზინის კარეთა და სამმართველოსთანაც გადაუგდიათ ყუმბარები. („სლ.“).

ცეცხლით დამწვარი ტუსაღი. სარატოვის საპატიმროში 9 ივლისს გამოძიების ქვეშ მყოფ 18 წლის ჭაბუკს დუდნიკოვს ნავთი გადაუსხამს ტანზე და დამწვარა. ოთახის კარები წინ და წინვე დაუმაგრებია ამ ყმაწვილს და როცა საპატიმროს ადმინისტრაციას შეუმტვრევია კარები, დუდნიკოვს ფეხებზე ეკიდა თურმე ცეცხლი. სამკურნალოში წაუყვანიათ, მაგრამ მორჩენა საეჭვოა. ამ შემთხვევის რამდენიმე დღის წინად დუდნიკოვს ჭამა-სმა აუკვეთნია. („პრ.“).

მოუსავლობისაგან დამშეული გუბერნიები. რუსეთის მომეტებული ნაწილი შიმშილის მოლოდინშია. 22 მოუსავლიან გუბერნიაში უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში შემდეგი გუბერნიებია: ნოვგოროდისა, ვიატკისა, ყაზანისა, სიმბირსკისა, სარატოვისა, სამარისა, ტამბოვისა, ტულისა, ორიოლისა, ვიტებსკისა, პსკოვისა, ვლადიმირისა და ვოლოგდის. ყოველივე ადგილობრივ დაწესებულებას მოკლებულმა ამ გუბერნიების მცხოვრებლებმა სთხოვეს მთავრობას დახმარება. ამათ მიეცათ კიდეც 4 მილიონ მანეთის სათესლე ხორბალი. მაგრამ ამითი ხალხი ვერ დაკმაყოფილდება და დიდი დახმარება კიდევ საჭირო. ფინანსთა სამინისტროს-კი მხოლოდ 1 მილიონი მანეთი გადაუდვია დასახმარებლად. ზოგ გუბერნიაში საქონლის საკვებიც აღარ მოიპოვება თურმე. განზრახულია, რომ ხალხი გაანთავისუფლონ გადასახადებისა და ნედოიმკებისაგან. („რ. ვ.“).

პრესსა

გაზ. „რაზვეტ“-ში ბ-ნ ნ. დურნოვოს პატარა წერილია დაბეჭდილი საქართველოს ეკკლესიის შესახებ. ცნობილი საეკკლესიო მწერალი კვლავ ექომაგება ჩვენს ეკკლესიას და, იხსენიებს რა უმაღლეს მანიფესტს სარწმუნოების თავისუფლებაზე, ამბობს:

„მშვიდობისა და სიყვარულისათვის“ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ, რომ საქართველოს ეკკლესიაც აღყვავდეს, რაც მოხერხდება „მადლითა უფლისათა, სიმშვიდითა და კეთილის მაგალითითა“ და არა იმით, რომ ხალხს უფლება წავართვათ სამშობლო ენაზე ილოცოს და იმის ეკკლესია დავუმორჩილოთ გარეშე ერის მოხელეთა უწყებას.

⁂

„ნაშა ჟიზნ“-ი გვიხსნის იმ საკვირველ გარემოებას, რომ რუსეთის რკინის გზები, მიუხედავად მაღალის ტარიფებისა და მრავალ შეღავათებისა, ძალიან მცირე შემოსავალს იძლევიან. მიზეზი მეტისმეტი გასავალი ყოფილა, რომელიც რუსეთის გზებს ჰქონიათ. გაზეთი ერთმანეთს ადარებს რუსეთისა და ამერიკის გზებს და საოცარი ციფირები მოჰყავს. შემოსავალი რუსეთის გზებს მეტი ჰქონია, მაგრამ დიდის ხარჯების მიზეზით მოგება რუსეთის გზებისა ბევრად უფრო ნაკლებია ამერიკისაზე.

რუსეთის რკინის გზები ორჯელ მეტს ხარჯავენ ამერიკის გზებზე. მაშინ როდესაც ჩვენ ერთ ვერსტზე 1 მ. 35 კაპ. გვეხარჯება, ამერიკელთ 64 კაპეიკის ხარჯი მოსდით... ავიღოთ თუნდ რკინის გზების გამგეობანი. მარტო მათი შენახვა ჯდება რუსეთში მთელის შემოსავლის 10%, ესე იგი, 12 კაპ. ვერსტზე; ამერიკაში-კი ეს ხარჯი ზაურზე ნაკლებია თითოეულს ვერსტზე... შტატებში ინჟენერები სულ მცირე ჯილდოს იღებენ. ყველაზედ მეტი ჯამაგირი ილლინოისის შტატის რკინის გზების უფროსს ეძლევა—11 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც ჩვენში ნიკოლაევსკი რკინის გზების გამგე ინჟენერს 60 ათასი მანეთი ეძლევა წელიწადში, ციმბირის რკინის გზების მკეთებელ უფროს ინჟენერს 50 ათასი ეძლეოდა და სხვა...

რაღა საკვირველია, რომ რუსეთის რკინის გზები თუმცა ძლიერ შემოსავლიანია, მაგრამ მოგება მცირე რჩებათ; უკეთ რომ ვსთქვათ, მოგებაც დიდი აქვთ, მაგრამ არა ხალხისა და სახელმწიფოსათვის...

არც ის არის საკვირველი, რომ რუსეთის ბიუროკრატია ასე მედგრად ეწინააღმდეგება განმათავისუფლებელს მოძრაობას; იგი კარგად ჰხედავს, რომ არც ერთს განათლებულსა და რიგიანად მოწყობილს სახელმწიფოში მოხელეს არ აძლევენ 100 ათასსა და 60 ათას მან. ჯამაგირს წელიწადში...

⁂

კარგა ხანია მკითხველისთვის თავ. მეშჩერსკის ამბავი არ მოგვიხსენებია. როგორ გრძნობს თავს „გრაჟდანინ“-ის გამომცემელი,—ეს ყველასათვის საინტერესოა, რადგან თავადის ასეთი თუ ისეთი „გუნება“ ხანდახან რამეს მოასწავებს... მეშჩერსკის გაცხარებული პოლემიკა აქვს ამ ჟამად „მოსკოვ. ვედომ.“-ის ცნობილ პუბლიცისტ პავლოვთან: მეშჩერსკი ამტკიცებს, რომ ახლანდელი რუსეთი გიჟების სახლს მოგვაგონებსო; ამის წინააღმდეგ პავლოვი გაცხარებით ლაპარაკობს,—არა, რუსეთი ახლა „კატორჟნიკების“ თავშესაფარიაო... ასეთი საინტერესო პოლემიკა აქვთ ამ გაზეთებს, მაგრამ ეხლა თავი დავანებოთ იმათ არა ნაკლებ საინტერესო საბუთებს; აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ თავ. მეშჩერსკი ამ ჟამად ძალიან მოწყენილია; უკანასკნელ №-ში მაინც ერთობ შეწუხებულია—მალე რუსეთში „კონსტიტუცია“ გამოცხადდებაო.

ვინ იფიქრებდა შარშან ამ დროსა, შემოგვძახის თავადი, რომ 12 თვის შემდეგ 80 წლის პობედონოსცევი მანიფესტს დაწერს სახალხო წარმომადგენლობის დაწესების შესახებ?! ვინ იფიქრებდა, რომ პობედონოსცევი ისეთ დაწესებულების პროექტის შედგენაში მიიღებდა მონაწილეობას, რომელმაც მინისტრები უნდა გაასამართლოს ხოლმე, სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა განიხილოს და სხვა.

წერილები

ს. დიდი-ლილო (ტფილისის მაზრა). დიდლილოელი გლეხი ისევე გაჭირვებულია დღევანდელის ცხოვრების უკულმართობით, როგორც სხვა მხარის გლეხი საქართველოში. ის ისევე მოელის ახალის ხანის დადგომას გლეხთა გაუმჯობესობისას, როგორც დანარჩენი ერი. აქაური გლეხი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს დღევანდელს მოძრაობას. დაინახავენ თუ არა ვისმეს ტფილისიდან მომავალს, ან კიდევ სოფელში გასულთ მღვდლებს, მასწავლებელს ან მწერალს, მაშინვე შემოეხვევიან და ჰკითხავენ: გაზეთში ახალი ამბავი რა არის, წაგვიკითხე, ან გვიამბეო. თუმცა ყოველი ლილოელი თითქმის ყოველ დღე ტფილისშია და იქ ყველაფერს იგებს, მაინც ძრიელ სურვილს განახლებისას ეს ვერ უკმაყოფილებს და უნდათ შეიტყონ ნამდვილად მოხდა ცვლილება თუ არა. სიტყვა „ერთობა“ აქაურებს ღრმად ესმით და იციან იმისი მნიშვნელობა, და ამიტომ მოხდა, რომ ლილოელმა გლეხებმა აქ საერთო მოძრაობის დროს არავისზე მიიტანეს ძალმომრეობა, თუმცა მიზეზი ბევრი ჰქონდათ. ლილოში სივიწროვეა მინდვრისა. არ მოეპოვებათ აგრეთვე (ტყეს ვინ იტყვის) ჯაგი, რომ მოსჭრან და თონე გაახურონ. თითქმის მომეტებული ნაწილი, უხარო კაცი ბალახ-ბულახით ახურებს თონეს და

ჩვენის ხალხის განსხვავებული მდგომარეობა მოითხოვს განსხვავებულს პროგრამას.

ევროპასა და ამერიკაში ცხოვრების იდეალები ხალხს არამც თუ შეგნებული აქვს, არამედ მეტნაკლებობით განხორციელებული. იქ ოჯახი კულტურულად არის მოწყობილი. მეზობლებთან დამოკიდებულობასა და ურთიერთობაში სუფევს ზნეობრივი სამართლე კაცთ-მოყვარეობა, სოფელი წარმოადგენს დიდს კრებულს, რომელიც მოქმედებს თანახმად საზოგადო ინტერესებისა, სოფელთა ურთიერთობა ქალაქებთან სამართლიან ნიადაგზე სწარმოებს, წოდებათა შორის განწყობილებას ადამიანური ხასიათი აქვს, იქაური სახელმწიფო თავისუფალს პრინციპებზე არის დამყარებული და იცავს ამ პრინციპებს და მათ განხორციელებას მთელის თავისი ძალით.

ჩვენში-კი ჯერ-ჯერობით არც ცხოვრების იდეალების შეგნებაა და მით უმეტეს არც მათ განხორციელების სახსენებელი. ოჯახიდან დაწყებული სახელმწიფოს უმაღლეს მწვერვალებამდე გამეფებულია ეგოიზმი, სიხარბე, შური, უკიდურესი უსამართლობა, სრული უადამიანობა, ბატონ-ყმობა, ყველა ამისა ცდილობს, თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააშენოს, დაიბრიყვოს მოყვასი დაიმონავოს, ყველა მტერია სხვისი და ყველანი მტარვალნი არიან ერთმანეთისა...

ასეთი უადამიანო ყოფა-ცხოვრებით გაჟღენთილია ჩვენში ყველა ელემენტი, ყველა ჯგუფი, ყველა წოდება, ყველა კლასი, ხალხიც არ შეადგენს ამ შემთხვევაში გამონაკლისს.

ეს არის მთავარი ბოროტება ჩვენის ანორმალურის მდგომარეობისა და მას უნდა მედგარი ომი გამოუცხადოს სახალხო უნივერსიტეტმა. მაგრამ როგორ და რა გზით? იქნება თეორეტიული მეცნიერების შესწავლით? მეტად მჭევრმეტყველურს პასუხს იძლევა ბეკონის მაგალითი ამ საკითხზე. ეს სახელოვანი ინგლისელი იყო პირველი ფილოსოფოსი და პირველი მეცნიერი თავისი დროისა. და ამავე დროს დაიმსახურა სახელი პირველის მექრთამისა და მოღალატისა პოლიტიკურს საქმეში.

ცხოვრების ძირიან-ფესვიანად განახლებისათვის ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ მაგალითებს წმინდა კულტურულის წესწყობილებისას, თავისუფალი რეჟიმისას. მოვიგონებთ, რომ პლუტარხის გმირების გაცნობამ ბევრი, ძალიან ბევრი ჭაბუკი გახადა მათ მხურვალე თაყვანისმცემლად, მიმბაძველად და გადააქცია საუკუნოდ სადიდებელ გმირებად. აი მაგალითი, რომლითაც უნდა ისარგებლოს ჩვენებურმა სახალხო უნივერსიტეტმა, მან უნდა უპირველესად უჩვენოს ზედმიწევნით, სურათულად გააცნოს ჩვენს ხალხს დაწინაურებულ ერების კულტურულ ცხოვრებას... სოციალური ეტნოგრაფია—აი მთავარი საგანი ჩვენებურის სახალხო უნივერსიტეტისა. ყოველმა გლეხმა, რომელიც კი გახდება ღირსი ამ საუნივერსიტეტო ტაძრისა, ასე ვთქვათ, უნდა კონკრეტულად, დაწვრილებით გაითვალისწინოს, ცოცხალი ლექციების საშუალებით, შემდეგი საარსო მხარეები დაწინაურებულის კულტურულის ცხოვრებისა: 1) როგორ არის აგებული ოჯახი იმ ბედნიერ ხალხებში, რა ურთიერთობა და დამოკიდებულობა არსებობს ოჯახის წევრთა შორის, რა უფლება აქვს თვითეულს წევრს ოჯახისას და რა უფლებით სარგებლობენ ქალები. როგორ არის განაწილებული ოჯახური შრომა რა გვარს წეს-რიგს მისდევენ გარჯილობაში, ჭამა-სმაში, დასვენებაში, გართობაში, რამდენად უყვართ წიგნებისა და გაზეთების კითხვა, რა გვარი წიგნები შეადგენენ საოჯახო ბიბლიოთეკას, რა დამოკიდებულება აქვს ოჯახსა სკოლასთან, მოძღვართან, ეკკლესიასთან და სხვანი; 2) რა პრინციპზე, რა საფუძველზე არის აგებული სოფლის ორგანიზაცია, განწყობილება; რა გვარი ურთიერთობა არსებობს ოჯახთა შორის; რა პატივით ეპყრობიან ერთმანეთის უფლებას; როგორ მართავს თავისს საქმეებს სოფელი, როგორ ირჩევს მამასახლისს, მოსამართლეებს და სხვა თავის მოხელეთა, როგორ უძღვება სასოფლო, საერთო სამეურნეოებს; როგორ ეხმარებიან ერთმანეთს ოჯახები სხვა და სხვა საქმეებში; როგორი სკოლა აქვთ; რა საგნებს ასწავლიან ამ სკოლაში; როგორ ირჩევს სოფელი თავისი სკოლის მასწავლებელს; როგორ ირჩევს თავის სულიერს მოძღვარს, როგორ ინახავს მას და რა გვარი განწყობილება აქვს ეკკლესიასთან, რა ხარისხის თვით-მართველობით სარგებლობს სოფელი და სხვანი. 3) კავშირი სოფლისა სხვა სოფლებთან; კოლექტიური ერთეული სოფლებისა; სიდიდე ამ ერთეულისა; მისი ურთიერთობა თვითეულს სოფელთან, მისნი უფლებანი. 4) უფლებანი და მოვალეობანი უფრო დიდი ერთეულობისა. 5) საზოგადო კავშირი ყველა ამ ერთეულთა, ანუ სახელმწიფო; სახელმწიფოს ორგანიზაცია; თავისუფლების პრინციპები, რომელზედაც აგებულია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა; ფორმა სახელმწიფოს მართვისა; უფლებანი სახელმწიფოს მეთაურისა; უფლებანი პარლამენტისა; საარჩევნო უფლებანი ერისა, და სხვანი. 6) ვის ხელშია მიწა-წყალი; რა ხარისხზე სდგას ხვნა-თესვის კულტურა; რა ღონისძიებას და ხერხს ხმარობენ, რომ პატარა მიწიდან დიდი მოსავალი მიიღონ; მერამდენე ნაწილს მოსავლისას აძლევს მხვნელ-მთესველი მიწის მესაკუთრესა; რა გვარი რეფორმა მიაჩნიათ შესაძლოდ და სანატრელად მიწის მფლობელობაში და სხვანი; 7) ქარხნები და ზავოდები; მუშათა მდგომარეობა; რამდენს საათს შრომობს მუშა და რა ფასს იღებს; რა ხერხებს ხმარობენ მუშები თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რა მიაჩნიათ მათ თავისს იდეალად და რა ღონისძიებით უნდათ მისი განხორციელება, და სხვანი...

აი მთავარი საგანი, რასაც ქართულმა სახალხო უნივერსიტეტმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. მან უნდა ხალხს გაუთვალისწინოს, რაგვარად არის ახსნილი და განხორციელებული ჩამოთვლილი საკითხები არა ერთს კულტურულს ქვეყანაში, არამედ სხვა და სხვაში. შედარებითი მეთოდი აქაც დიდ დახმარებას გაუწევს საუნივერსიტეტო ლექტორს საგნების გამორკვევაში, განათებაში. ამ მეთოდის წყალობით მსმენელნი კარგად დაინახავენ, რომ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხალხს დასჭირდა დიდი ბრძოლა და მისი კეთილდღეობა ეხლაც სხვა და სხვა კულტურულს ქვეყანაში სხვა და სხვა ხარისხზე სდგას; ევროპაში გლეხებსა და მუშებს ჯერ ბევრი რამ აკლიათ; მეტს ეწევიან ამერიკაში, უფრო კიდევ მომეტებულის ღირსნი გახდნენ ავსტრალიასა და ზელანდიაში... დაახლოებით გაცნობა კულტურულის ხალხების წარმატებისა ჩვენს ხალხს დაანახვებს, თუ რა სოციალური ცვლილებაა შესაძლებელი და რაა შეუძლებელი. პირველს მტკიცედ და შეუპოვრად მოითხოვს. მეორეს გვერდს აუქცევს ჯერჯერობით.

ყველა სხვა საგნების პროგრამასაც უნდა ჰქონდეს რეალური, პრაქტიკული ცხოველი ხასიათი ჩვენს სახალხო უნივერსიტეტებში... ქიმიას, ფიზიკას, ბოტანიკას, ზოოლოგიას იმ მხრივ უნდა აუხსნიდნენ მსმენელთ ლექტორები, რა მხარესაც უფრო მეტი კავშირი აქვს ცხოვრებასთან და მის გაუმჯობესებასთან. ისტორიიდანაც უნდა გაეცნონ ის მომენტები, რომელთაც დაანახვეს ხალხს ახალი ჰორიზონტები, შესძინეს მას ახალი იდეალები, დაბადეს ახალი მისწრაფებანი, შემოიღეს ახალი სოციალური ცვლილებანი, გაამდიდრეს კაცობრიობის პანტეონი ახალი გმირებით. . . .

დასასრულ უნდა ვსთქვათ რომ შევძლებთ ხალხის განათლება ნათელს პედაგოგიურს გზაზე დავაყენოთ, დავაარსოთ დაუბრკოლებლივ ქართული წერა-კითხვის სკოლები ყველა სოფელში, სახალხო სკოლები ფართო პროგრამით და ბოლოს ღირსეული სახალხო ქართული უნივერსიტეტიც; მაგრამ ყველა ამისთვის საჭიროა შესაფერი ტაქტიკა. ჩვენ, მაგალითად, უარი არ უნდა ვსთქვათ ქართულს სკოლაზე იმის გამო, რომ ამავე წამს არ გვაძლევენ მოქალაქობრივ თავისუფლებას. მივბაძოთ ჩეხებს და მხნე პოლონელების მაგალითს, რომელნიც უპირველესად ყოვლისა თხოულობენ კულტურულს თავისუფლებას, თავისუფლებას ეროვნულის სკოლებისას, თხოულობენ ახლავე ამ წამში, და დიდი სიამოვნებით გახსნიან ეხლავე პოლონურს სკოლას, თუნდაც მაშინვე არ მიანიჭონ მათ მოქალაქობრივი თავისუფლება.... წარსაბაძავ მაგალითს უფრო ახლო ვიპოვნით. სომხებმა მიიღეს ნებართვა თავის ეროვნული სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ. როგორ გგონიათ, ამ ნებართვით ისინი არ ისარგებლებენ, ვიდრე მოქალაქობრივი თავისუფლება არ ეღირსება რუსეთსა? გამოიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ ახლავე ამ წამსვე აპირებენ ამ უფლებით ისარგებლონ და რაც კი შეიძლება ადრე გახსნან თავისი ეროვნული სკოლები... ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ჯერ ერთი სიკეთე ვიგდოთ ხელში და მერე მეორე სიკეთის მოპოვებას მედგრად შევუდგეთ....

თუ რა გვარად უნდა მოეწყოს ჩვენში ქართული სახალხო უნივერსიტეტი ტეხნიკის მხრივ, ამის თაობაზე თავის დროზე გიძღვნით ცალკე წერილს.

იაკობ გოგებაშვილი

ისე აცხობს ვითომ პურს. იმ თავითვე ლილოელებს სოფლის გვერდზე ჰქონიათ მიცემული ნადელად საფიჩხე ალაგი „ფიჩხიანი". 1902 წლამდის ყოველ წელიწადს აქედან თორმეტი დესეტინა ხელ-აღებით ეძლეოდათ დიდ და პატარა ლილოელებს მოსაჭრელად, რითაც იოლად მიდიოდნენ. ამ წლიდან კი ესეც მოესპოთ მარტყოფ-იორის ტყის მცველის უფროსის კასიანენკოს წყალობით. ჩხირის გამოტანა არ შეუძლიათ უჯქმოთ და უჯარიმოთ. ამ საფიჩხე ალაგის გადასახადს კი ისევ სოფელი იხდის და თანაც თავის ხარჯზე ინახავს, თავისსვე მახრჩობელა, ტყის ორს ყარაულს ჯამაგირით. სიცივისა და გამოუცხობლად პურის ჭამის გამო 1903 წ. ხალხის მესამედი სახადით იყო ავად, რაც დაამოწმა მარტყოფის კერძო ქსენონის ექიმმა ბ-ნმა ნიკოლოზ იაგულაშვილმა. ამ ექიმმა წერილობით მიჰმართა მარტყოფ-იორის ტყის უფროსს ამ ამბის გამო და სთხოვა, ნება მიეცათ თავიანთ ნადელში ფიჩხი მოეჭრათ, კვლავინდებურად, მაგრამ ყური არავინ ათხოვა.

როგორც ტფილისის პირად მდებარე სოფელი, ლილო დიდად შევიწროვებულია ყოველის მხრივ. ყველა ავი კაცი, ტფილისელი თუ სოფლელი, ლილოს მინდორში ბუდობს. გასძარცვავენ ვისმეს, მდევრად ლილოელებს გამოუყენებენ; მოჰკლავენ ვისმეს—ყარაულად ლილოელებს უყენებენ; ტფილისიდან რომელიმე უფროსი გამოვა ქალაქ გარედ—ლილოელები უნდა დაჰხვდნენ და ემსახურონ, რადგან ტფილისიდან პირველად ამათ მამულში მოუხდება მგზავრობა; ცხენების და ურმის ბეგარას ხომ თვლა არა აქვს. ამას დაუმატეთ აუარებელი ხარჯი და სხვა და სხვა გადასახადი და თვალ-წინ წარმოგიდგებათ მხურვალედ მონატრული ახალ წეს-წყობილების შემოღებისა ლილოელი გლეხი. ერთად-ერთი ნუგეში ლილოელებისა სოფლის მშვენიერი მდებარეობაა თავის სალას ჰაერით და უწყინარის წყაროს წყლებით.

31 ივლისს აქ მოვიდა სახელმწიფო ქონებათა მოხელე ზაბაროვსკი სართიჭალის ბოქაულ ობოლენსკითურთ. ამ მოხელემ შეჰკრიბა საზოგადოება და გამოუცხადა, მთავრობამ გამომგზავნა გამოგიცხადოთ, რომ ამ მოკლე ხანში თქვენ ისევ ჩაგბარდებათ ის მინდორი, რომელიც და რა მიჯნებითაც ადრე თქვენს მამა-პაპას სჭერიათ; ამისათვის განაჩენი დაადგინეთ და ექვსი კაცი მომეცით თქვენის მხრით მიჯნების საჩვენებლადო. ამით გათავდა.

ამავე დღეს და ამავე დროს აქვე მოვიდნენ ტფილისიდან მომრიგებელი შუამავალი თავ. ზ. სიდამონ-ერისთავი სოფლის მოხელეების ამოსარჩევად. როდესაც მოსვლის მიზეზი უთხრეს, სოფელი შეფიქრიანდა, რადგან წინად გამოცხადებული არა ჰქონდათ. მაინც დაასახელეს ორი კანდიდატი: ერთი ძველ მამასახლისის მოადგილე ქიტეს გამათაშვილი და მეორე ჯეელი, ნასალდათარი მიხეილ ფუხაშვილი. ხალხი ორად გაიყო. ბოქაული ნასალდათარისაკენ იყო, როცა სამხედრო წესი გამოსცადა, ამან უფროსების სამსახური და მორჩილება იცისო. ოლგინსკის რუსებმაც ბოქაულს მხარი მისცეს. მაგრამ დანარჩენი ხალხი ითხოვდა, გამათაშვილი იყოსო. თუ რუსებს უნდათ, ჩვენი საზოგადოებიდან ცალკე გავიდნენ, ზარალის მეტს ეგენი ხეირს არ გვაძლევენო. შეადგინეს სიებიც ამომრჩევლებისა, მაგრამ ბოლოს, რაღაც მიზეზის გამო, საქმე გაუთავებელი დარჩა და დაიშალნენ. **ლილოელი ბასილა.**

—

გურია. მთელი ნახევარი წელიწადი გურიაში ერთი უცნაური ექიმი დათარეშობდა. სადაური იყო, რა გვარი და რა მეცნიერებით აღჭურვილი, არავინ იცოდა, რადგან თითონ თავის ვინაობას ჰმალავდა. ლაპარაკობდა ქართულად, თუმცა მეგრული კილო ემჩნეოდა. ლაპარაკობდა აგრეთვე ფრანგულადაც. პირველ მოსვლისათანავე სახელი გაითქვა კარგის ექიმისა მით, რომ ვიღაც მძიმე ავადმყოფი მოარჩინა ს. გურიანთაში. ამის შემდეგ ბევრ სოფელში მიიწვიეს საექიმოდ. გასაკვირველი ის არის, რომ აქაურ აფთიაქებში რეცეპტებს არავის უწერდა: ამისთანა ძვირფასი წამლები აქ არ იყიდებაო. სამაგიეროდ ექიმს თითონ ჰყავდა, პროვიზორი ბათუმში და წამლებისთვის ყველას მასთან ჰგზავნიდა. მისი სიტყვით, იმ პროვიზორთან ნაყიდი წამალი უებარია, თუმცა ძვირფასიც. პირველად ეს უცნაური ექიმი ავადმყოფებს უსასყიდლოდ სინჯავდა; მერე თითო აბაზი დააწესა, შემდეგ თითო მანეთი და ბოლოს-კი ხშირად. 25 მანეთს და მეტსაც იღებდა, როგორც მოახერხებდა. მუშტარი მაინც ბევრი აღმოუჩნდა, უფრო ისეთები, რომელნიც სხვა ექიმებთაგან უიმედოები იყვნენ. ამ ექიმის საიდუმლოება იჭვებს და ცნობის მოყვარეობას ბადავდა სოფელში. ზოგი ამბობდა, პოლიციას ემალვის და ამიტომ მალავს თავის ვინაობასაო; ზოგი—ჟულიკიაო და სხვა. ბოლოს რამოდენისამე ავადმყოფისაგან მოაგროვა წამლებისა და განასინჯავი ფული და წავიდა ბათუმში—წამლებს დავამზადებ და დანიშნულ დღეს დავბრუნდებიო. გავიდა დანიშნული დღე და ექიმი არსად სჩანდა. რამდენიმე დღე სადგურზე ელოდებოდნენ ავადმყოფები, აი, დღეს, აი ხვალ მოვაო, მაგრამ... ბოლოს ხმა დავარდა, ექიმი გაიპარაო. ბევრს არა სჯერა ეს ამბავი და დღესაც ელოდებიან.

ი. გორდელაძე

—

ს. ხორში ერთი საუკეთესო სოფელია მთელს სამეგრელოში თავის ადგილმდებარეობით და ჰავით. ძველად ხორში, როგორც სოფ. ზნეფი, განთქმული იყო ღვინის მოსავლით. ეხლაც ყოველ ძველ ოჯახში ბლომად შენახულია 40—50 კოკიანი ქვრები. მაგრამ ეხლა ხორშში ღვინო არსად არ მოდის. ნიადაგი გამწირდა, მცხოვრებნი გამრავლდნენ და მიწა ადგილი არ ჰყოფნით. აი ამისთვის ხშირად შიმშილობა ჩამოვარდება და შველა კი არსაიდან არის. ამას უნდა დაუმატოთ, რომ დროებით ვალდებული გლეხები ბევრნი არიან ხორშში, მაგრამ „დროებით" განვებ ჰქვიან, თორემ ნამდვილად ბატონმა სამუდამოდ დაისაკუთრა მისი მიწა-ადგილი, რადგან თავს არ ახსნევინებს გლეხს. ეხლა კი ამ გამათავისუფლებელ მოძრაობის დროს გაჭირებულ გლეხს ცოტა იმედი მიეცა და ეს „იმედი" თან და თან იზრდება...

ხორშში 20-მდე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი მოდის. მათ შორის 7 ცალი „ცნობის ფურცელი". თუმცა სამკითხველო არ არის ჯერ-ჯერობით, მაგრამ განზრახვა აქვთ მალე გახსნან. სწავლის საქმეს ძალიან ხალისით ეკიდებიან, მაგრამ... მაგარი ის არის, სამეგრელოს ეგრედ წოდებული „სამინისტრო" სკოლების ზოგი ვითომ „პედაგოგი" უცხოელები გამოდგნენ თავიანთ ქვეყნისთვის. თავიანთ ხალხის მოთხოვნილების და ქვეყნის არც არაფერი გაეგებათ და არც არაფერს ჰკითხულობენ (მე ზოგიერთებზე ვამბობ და არა იმ უმრავლესობაზე, რომლებმაც თავიანთი თავი ხალხის სასიკეთოდ შესწირეს, მათ ჩემი ქება არა სჭირიათ) და რომ ჰკითხოთ რისთვის სჩადით ამასო, გიპასუხებენ: „რა ვქნათ, ჩვენ რა შეგვიძლია, ადგილს დავკარგავთ და მერე შიმშილით მოვკვდებითო, თორემ ვინ არ იცის, რომ ნახშირი შავია და არა თეთრიო". მაგრამ ამ კუდის მოსამსახურე „პედაგოგებს" საზოგადოება კარგად აფასებს. **დიმიტრი**

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

თქვენი გაზეთის № 2882 ში მოთავსებული იყო „კახეთის" საზოგადოების გამგეობის წერილი, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენც გვეხება და ათას გვარ ცილს გვწამებს. თავის საკუთარ აზრს და შეხედულებას ჩვენ გვახვევს თავზე და გამოუყვავართ მთელი მუშათა პარტიის მოღალატეთ. ე. ი. ჩვენი თავი ჩვენვე უარ გვიყვია. ასეთი უმეცრები ჩვენ არასოდეს არ ყოფილვართ და არც ვიქნებით. მართალია გამგეობა არა ერთხელ და ორჯელ ცდილა ჩვენთვის თვალები აეხვია და დაემტკიცებია, რომ ჩვენ სხვა მუშებთან საერთო არა გვაქვს რა, იმათი [illegible] თქვენ არ გარგიათო, გვეუბნებოდა გამგეობა, ვინაიდან თქვენ სხვა ხართ და ისინი სხვა, ბოიკოტი და გაფიცვები იმათი საქმეა და არა თქვენი; თქვენ ჩვენ კი არ უნდა გვეფიცებოდეთ, პირიქით, მხარს უნდა გვიჭერდეთ, თქვენც კახელები ხართ და ჩვენც; მართალია თქვენს შორის ქართლელებიც არიან, მაგრამ ეგ სულ ერთია, ყველა ქართველები არა ვართო?"

ასე გვეუბნებოდა გამგეობა, მაგრამ 9 თიბათვეს ჩვენ მაინც გავიფიცეთ, მხარი დაუჭირეთ ჩვენ ამხანაგებს, კანტორაში მოსამსახურეებს და მით დაუმტკიცეთ გამგეობას, რომ ღვინით ვაჭრობა არის საქმე კომერციული და და არა ეროვნული, როგორც ჩვენ გამგეობა გვარწმუნებდა.

ტყუილად ფიქრობს გამგეობა, რომ ჩვენ სხვის ფეხის ხმას ავყოლოდეთ, არავითარი საკუთარი მოსაზრება არ გვქონდეს. ჩვენ ნათლად, გარკვევით და შეგნებულად გამოუცხადეთ გამგეობას, თუ რისთვის გავიფიცეთ, მაგრამ როგორც სჩანს, გამგეობა ჩვენს განცხადებას არ დასჯერებია და ჩვენ გულში ხელის ფათური დაუწყია! ვიმეორებთ, რომ გაფიცული კანტორის მოსამსახურენი ჩვენი ძმები, ამხანაგები არიან მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა, ხოლო მათი დამარცხება ჩვენი დამარცხება. ერთმანეთისაგან ჩვენ არაფრით განვსხვავდებით; ჩვენი და მათი მდგომარეობა ერთი და იგივეა და სწორედ ამიტომაც დაუჭირეთ მათ მხარი. რაც შეეხება გამგეობის წერილის იმ ადგილს, სადაც ის წერს, რომ ვითომ „გაფიცულმა მუშებმა შემოგვითვალეს, აღარ გვინდა მხარი დაუჭიროთ კანტორის მოხელეთ ნოქრებს და მზად ვართ დაუბრუნდეთ ჩვენს საქმეს წინანდელი პირობებითო"—ეს სამართლეს მოკლებულია. ჩვენ არა თუ შევუთვალეთ „კანტორის მოსამსახურეებს მხარს ვერ დავუჭერთო", არამედ აზრადაც არ მოგვსვლია ამის თქმა.

მუშაობაზე დაბრუნება გვაიძულა მხოლოდ ჩვენმა შევიწროებულმა მატერიალურმა მდგომარეობამ. ჩვენ დიდათ ვსწუხდით მუშაობას რომ ვიწყებდით, მაგრამ რა გვექნა...

გამგეობა თავის წერილში არწმუნებს საზოგადოებას, რომ გაფიცვის შემდეგ ჩვენ დაგვიბრუნდა ყველა ძველი უფლებები; რამდენადაც მართალია გამგეობა ამას რომ ლაპარაკობს, ეს იქედანა სჩანს, რომ ჩვენ გვქონდა უფლება ამხანაგის მიღება-დათხოვნისა, ეხლა-კი ეს უფლება აღარა გვაქვს—გამგეობამ ჩვენ დაუკითხავათ უკვე მიიღო რამდენიმე პირი და მით დაარღვია ჩვენი უფლება. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ „კახეთის" გამგეობისთვის მეხსიერებას უღალატნია... ნუ თუ გამგეობას არ ახსოვს ის გარემოება, რომ თავ. ზ. გ. ჭავჭავაძემ სიტყვის შებრუნებისთვის ერთი მუშა დაითხოვნა!? ამ ფაქტს გამგეობა ზღაპარს უწოდებს!!.

კახელ მევენახეთა საზოგადოების „კახეთის" მუშები.

მალაქია ზარდიაშვილი, ისაკ ახალაშვილი, სანდრო მამიაშვილი, ლაზრო ხეჩიაშვილი, სანდრო ზუკაკიშვილი, ალექსი ხუბაშვილი, დათიკო კახიშვილი, გიორგი ბარუჩაშვილი, გიორგი ბერაშვილი, მიხეილ არუტინოვი, ბაგრატ ათაბეგოვი, კოტე მირინაშვილი, შაქრო მირინაშვილი, ვანო ბარიაშვილი, ნიკა ბერიაშვილი, ვანო ქიტაშვილი, დათა ჯანდაგაშვილი, იოსებ ბაქალოშვილი, თედო ზარდიაშვილი, მიხა ბეცაშვილი, სანდრო მეხაშიშვილი, მიხა ჯუტიტიშვილი, ვანო შოშიტაშვილი, შ. იაშვილი, М. Гурылевъ, სიმონ ზუკაკიშვილი, გიორგი ხოსიტაშვილ, ილიკო ტოგონიძე, ლევანა შალოსბაძე.

II

ბატონო რედაქტორო!

გაზ. „ცნობის ფურცლის" მე-2880 №-ში მოთავსებული იყო თელავის მესამე საბლაღოჩინო ოლქის მედავითნე-დიაკვნების თხოვნა ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ არჩეულ წარმომადგენლების მიმართ, რომელშიაც შეცდომით იყო დაბეჭდილი, ვითომ ზემოხსენებულ საბლაღოჩინოს მედავითნე-დიაკვნები თხოულობენ შემოსავლიდან მიეცეთ მესამედი, მეოთხედის ნაცვლად. ხსენებული მედავითნე-დიაკვნები მესამედს კი არა თხოულობენ, თხოულობენ ორს ნაწილს შემოსავლიდან, ესე იგი, აქამდის თუ მანეთიდან მღვდელი იღებდა 75 კ. და მედავითნე 25 კ., ეხლა უნდა მიეცეთ, თანხმად მედავითნეების თხოვნისა, მანეთიდან მღვდელს 60 კ. და მედავითნეს 40 კ.

ქართლ-კახეთის მედავითნე-დიაკვნების წარმომადგენლებმა ამავე სამღვდელოების მიერ არჩეულ წარმომადგენლებს წარუდგინეს თხოვნა (რომელიც შეიცავს 22 მუხლს). თხოვნაში მედავითნე-დიაკვნები ასწერენ თავიანთ ჭირ-ვარამს და სთხოვენ, შემოსავლიდან მიეცეთ ორი ნაწილი, მეოთხედის ნაცვლად. მედავითნე-დიაკვნების წარმომადგენლები ეხლაცა სთხოვენ იმავე სამღვდელოების წარმომადგენლებს იქონიონ მსჯელობა და დააკმაყოფილონ მათი თხოვნა. **დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე.**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

10 აგვისტო

პორტ სმუტი, 10 აგვისტო. კონფერენცია გაიხსნა დღეს დილით, დანიშნულ დროს.

ტოკიო, 10 აგვისტო. „კონტრ ნაღმოსანი" სილნი" 8 აგვისტოს ამოიღეს პორტ-არტურის რეიდიდან. (რეიტერი).

სევასტოპოლი, 10 აგვისტო. დღეს საგოსპიტლო ეკკლესიიდან სევასტოპოლის ვაგზალზე გადაასვენეს რეველს გამგზავრებულ, მეორე რანგის კაპიტან გილიაროვსკისა და ლეიტენანტ ტონის გვამები, რომელნიც „პოტემკინ"-ზე დაიღუპნენ.

პორტ სმუტი, 10 აგვისტო. მთავარ რწმუნებულნი დილის სხდომას არ დაესწრებიან, სეკრეტრებს მიანდეს ეცადონ გამოარკვიონ სიძნელე, რომელიც უჩვენებს აუცილებელი შესწორება არ არის შეტანილიო. შემდეგ კონფერენცია შეიკრიბა 2 საათზე და განაგრძო საათ ნახევარს. სხდომა შაბათისათვის გადაიდო. დღეს ხელი მოაწერეს წარსულ სხდომების ოქმებს. შაბათს მოხდება უკანასკნელი სხდომა საბოლოო ოქმის ხელის მოსაწერად. ორივე მხრის რწმუნებულებმა გადასწყვიტეს წავიდნენ, თუ საბოლოოდ გამოირკვევა, რომ ორის პუნქტის შესახებ უთანხმოების აშორება შეუძლებელი იქნება. გადაწყვეტილება დამოკიდებულია პეტერბურგსა და ტოკიოზე. იაპონიისაგან წარმოდგენილ პროექტს კომპრომისების შესახებ, ვიტემ უწოდა ძველი პირობები ახალის ფორმით და განაცხადა, რომ საფუძველი არ არის რუსეთმა ხარჯი გადაიხადოსო. ვიტეს თხოვნით სხდომა შაბათამდე გადაიდო, რათა წერილობითი პასუხი მოამზადოს. როგორც ხმა დადის, იაპონიამ განსაზღვრა ნახევარ სახალინის საფასურად 600 მილიონი დოლლარი და დაეთანხმა გამორიცხოს მეათე და მეთერთმეტე მუხლები გემების ჩაბარებისა და რუსის ფლოტის განსაზღვრის შესახებ. „ნიუ-იორკ-ტაიმს"-ის სიტყვით რუზველტის მეცადინეობას მხარს უჭერს სამი ნეიტრალური სახელმწიფო. რუსეთი და იაპონია ვერ გაუძლებენ საპატიო ზავის ინტერესებისკენ მიმართულს გავლენას და ურთიერთურ დათმობის ნიადაგს. პრესსა დღეს ოპტიმისტურ ხასიათზეა.

პორტ-სმუტი, 10 აგვისტო. სამშვიდობო კონფერენციის სხდომა განახლდა ნაშუადღევის 3 ს. და 30 წ. ოფიციალურად გამოცხადდა დღევანდელის დილის სხდომის გადადება. ეს გამოწვეულია ოქმის ტექსტის შესახებ მომხდარ უთანხმოებით.

ვლადივასტოკი. ციხის კომენდანტმა აკრძალა ნადირობა ციხის ახლო მდებარე კუნძულებზე.

კელცი. ღამით ნახევარი სადგურ როჟევსთან ბოროტ-გამზრახველებმა ააფეთქეს რკინის გზა. დიდი ზარალი მოხდა, ამ ჟამად გზა გასწორებულია მიმოსვლა განახლდა.

ვარშავა, 10 აგვისტო. რკინის გზის ბატალიონის დახმარებით განაახლეს მიმოსვლა ბრესტის გზაზე. დღეს მივიდნენ მატარებლები, თუმცა, დაგვიანებით. სახელოსნოებში ხვალ დაიწყება მუშაობა. ვენის გზის სახელოსნოების მუშებიც დაუბრუნდნენ მუშაობას. დილის გაზეთები არ გამოვიდა. სალამოსი გამოვლენ.

კიევი. რადგანაც მიმოსვლა შეწყდა პრივისლიანის რკინის გზებზე, ვარშავის მატარებლები იგზავნება მალკინსა, სედლეცსა, ბელოსტოკსა და კრუპნიზე.

კრონშტადტი. ქვიშაში გარიყული ნაღმოსანი № 217 ამოიღეს წყლიდან და კრონშტადტში მოიყვანეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

11 აგვისტო

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით, 16 აგვისტოს, საგანგებო რჩევაზე გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით განიხილვენ იმ წესების პროექტს, რომელიც 6 აგვისტოს გამოცემულ დაკანონებათა სისრულეში მოყვანას შეეხება. ჯერ არ აურჩევიათ სახელმწიფო სათათბიროს სხდომებისთვის სადგომი. ასახელებენ ტავრიჩესკი სასახლეს, თავად-აზნაურთა საკრებულოს და კონსერვატორიას.—სენატორ პოსტოევსკიმ საბოლოოდ შეიმუშავა და წარადგინა ანგარიში მოსკოვში მომხდარ სრულიად რუსეთის ერობის კრების შესახებ. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ რევიზიის (?) შედეგს ოფიციალურ ორგანოებში გამოაცხადებენ მერმის.—უკანასკნელის დროის ბევრს გადაწყვეტილებას სამხედრო სასამართლოებისას გაძლიერებულ დაცვის ძალით დასჯილთა შესახებ არ მოიყვანენ სისრულეში, რადგანაც ახლო მომავალში ამნისტია უნდა გამოცხადდეს პოლიტიკურ დამნაშავეთათვის. ამნისტია არ იქნება საერთო. ერთი პირველ რეფორმათაგანი პრესსის თავისუფლება იქნება. კობეკოს კომისია თავის პროექტს სექტემბერში წარადგენს.—პოლიტიკური კლუბი ნოემბერში დაიწყებს მოქმედებას. თავის ყურადღებას სახელმწიფო სათათბიროზე დაამყარებს კლუბი. არსდება კიდევ საყოველთაო კლუბი. მისი მოქმედება იქნება სასტიკად ზომიერი. ამ კლუბში შესასვლელად უნდა გქონდეს ქონებრივი ცენზი, ისეთი, როგორც სახელმწიფო სათათბიროში შესასვლელად.

გუნჯულინი. როგორც ხმებია, იაპონელებმა ლიტცზატაიში და მეინარეკვ ცინხესა, ხუნხესა და გუნიანხეს მიდამოებში თავი მოუყარეს 10 ათას კაცს და ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ აპირებენ წინ გალაშქრებას.

პორტ-სმუტი. იაპონელების ახალ წინადადებათა გამო სხდომა გადაიდო შაბათისთვის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა ართელი. მიიღებს კოტილენი, სამჭედლო და სასლესრო საქმეებს. საქმეს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქრუევისა. (30—26)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა სანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეს. (24—22)

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული გელზორდტ ლოკმი
გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკის) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—21)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ტფილისის ეპარქიის **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა იყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ იყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის, სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—20)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ფრიად საინტერესო და საყურადღებო
ახალი რომანი
„ცხოვრება და სიყვარული"
ავტორის სურათით, წინასიტყვაობით: მოკლე, ბიოგრაფიულ და საპასუხო კრიტიკულ წერილით ბ. ფ. გოგიჩაიშვილის მიმართ. წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთათ, მაგრად შეკერილი, შეიცავს 120 გვერდს და გაგზავნით ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქვე იყიდება „ლექსები და პოემები" და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან: „ვარინკას ამბავი". თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზი. აგრეთვე 1902, 1903 და 1904 სრული წლების „ცნ. ფურცელი" ყდაში მიცემულის დამატებით და შინაარსის აღწერით. თითო წლის მხოლოდ 4 მანეთი. შეიძლება მარკებითაც, მსურველთ მიჰმართონ სადგურ მიხაილოვში ბათუმის მხრივ ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Михайлово, кас. Чархишвили. (2—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
# სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

✦ კბილებს ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—20)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
# კიოსკში
ლორის-მელვის ქუჩა, იმპ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაჩი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პიტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. მვანგულოვისა	1	—

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Августъ 1905 г.

Печ. груз. изд. т-ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ.-სა